

განათლება+

№2 (4596)

28 აპრილი

2021 წელი

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით

ფასი 1 ლარი

„სიყვარულის, ღმერთის და ღმერთების ენაზე!“

179-ე სკოლა – მუდამ გამორჩეული

გამონაკლებს გაუმკლავდა, გმირობაა დიდი!



„შენ გადუქროლე რომის ქარვასლებს“, – წერდა ქლექის შესახებ ლადო ასათიანი.

კორონა ვირუსმა რომს კი არა, მსოფლიოს გადაუარა.

ჭირთა თმენის, მასთან ბრძოლის დისტანციური მეთოდი მართლაც უცნაურია, ღმერთმანი! არ იცი, საქმეს საიდან მიუდგე, როგორ გაართვა მას თავი, რომ პიროსის, არამედ ნამდვილ გამარჯვებას ნაკლები დანაკარგებით მიაღწიო. ამ სფეროში ხომ გამოცდილება ნაკლები დაგვიგროვდა. სირთულეებთან ჭიდილში 179-ე სკოლები უფრო ინტოხიან, არა თუ წინანდელ წარმატებების შენარჩუნებაზე ფიქრობენ, არამედ უფრო მაღალი შედეგებისკენ უჭირავენ თვალს. ამის გარანტიას გვაძლევს პედაგოგების, დირექციის, მოსწავლეების, მშობლების მუხლწაუხრელი შრომა. დირექტორს, მის მოადგილეებს, ყველა მუშაკს ლომის წვლილი მიუძღვით ამ ძალისხმევაში.

კარგ დროს მომისწრო სკოლიდან მდიდარმა ინფორმაციამ, რომელმაც პათეტიკას გადამარჩინა. ამაზე ცოტა ქვემოთ. მანამდე კი ორიოდ წინადადებით მინდა შევეხო სკოლის დირექტორის ღვაწლს. **ხათუნა ნებიერიძე** გახლავთ კეთილშობილი პიროვნება, დედა, მზრდელი ყრმათა, აქტი-

სკოლაში ირმა ჩხარტიას შემდეგ და სხვაგანაც იულიუს კეისარით ვით სადაც „მივიდა, ნახა, გაიმარჯვა“.

ზემოთ ვთქვი, სკოლიდან მოსულმა ინფორმაციამ (უფრო სწორად, ნიჭიერად დანერგულმა ნერილმა) ზოგადი მსჯელობებიდან კონკრეტისკენ მომბარუნა-მეთქი. ღმერთმა მარჯვენა დაულოცოს მისი კარგი ქართული დამწერს!

„ქვეყნის მასშტაბით ყველა სკოლასთან ერთად ჩვენი 179-ე საჯარო სკოლაც დადგა კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის ახალი რეალობის წინაშე. საჭირო გახდა ახალი გამოწვევების მიღება და სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა.“

განათლების ამ ფორმით მიღების გამოცდილება არ არსებობდა. დისტანციური სწავლების პერიოდში განისაზღვრა ყველა საფეხურის საგაკვეთილო დრო, შემუშავდა შეფასების რამდენიმე მოდელი. მაქსიმალურად მოკლე დროში მოხდა მოსწავლეთა დარეგისტრირება TEAM-ს პროგრამაზე. მასწავლებლები ესწრებოდნენ ტრენინგებს, ხდებოდა გამოცდილების გაზიარება, სკოლაში მოახერხა, ახალ სასწავლო სივრცეში ჩაერთო მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა.

დისტანციური სწავლება სრულიად გამჭვირვალე პროცესია, სადაც მშობლები უკეთ ხედავენ საკუთარი შვილების მიღწევებსა და შესაძლებლობებს.

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა, პირველ რიგში, ემოციური თვალსაზრისით იყო რთული. ცოცხალი კომუნიკაცია შეიცვალა ვირტუალურით. ეს მშობლებში იწვევდა დამატებით სტრესსა და ერთგვარ უნდობლობას. პედაგოგთა პროფესიონალიზმისა და უდიდესი პასუხისმგებლური

ეთ სწრაფი ჩართვა სწავლების ამ ფორმაში. ამგვარად, სწორად დაგეგმილ სასწავლო პროცესის თანმიმდევრობამ, ახალ გარემოსთან ადაპტაციამ, დაგეგმილ სირთულეებში. ადმინისტრაციამ შეძლო დისტანციური სწავლების პროცესის სწორად ორგანიზება-დაგეგმვა, მისი მართვა, შეფასება და კონტროლი.

პანდემიის პირობებში სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მოვლა-პატრონობა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გახდა სკოლის ადმინისტრაციის მთავარი საზრუნავი. სწავლების პროცესი მიმდინარეობს ყველა რეგულაციის მკაცრი დაცვით.

სკოლაში არის ექვსი პირველი კლასი. მათი ხელმძღვანელები: **ნ. ჩანსქელიანი, ხ. დვლიშვილი, გ. თაბუკაშვილი, მ. ქავთარაძე, ი. აბრამიშვილი, თ. სამხარაძე** ძალღონეს არ იშურებენ, რომ პატარები იაკობის „დედაენით“ იყვნენ აღზრდილნი.

დანწყებითი საფეხურის კათედრას უნარჩინად უძღვება **ლელა მუშუკოპიშვილი**.

დირექტორი **ხათუნა ნებიერიძე** ხომ არის და არის ჩვენი პედაგოგიკის თვალისჩინი. მას



მეცნიერებათა კათედრას კარგად უძღვება ენერგიული **ლია აბაშიძე**, ხოლო მათემატიკისას – **მარინე ტურაშვილი**.

პანდემია ერთგვარად ნეგატიურად აისახა სასკოლო ცხოვრებაზე, თუმცა რეგულაციების დაცვით, ვახორციელებთ სხვადასხვა სასკოლო და კლასგარეშე აქტივობებს.

ჩვენთან პედაგოგის სახელსა და ღირსებას იცავს 79 მასწავლებელი, რომელიც მაღალი სტატუსით ამყარებს. მათ შორის, 55 უფროსის ნოდებას ატარებს, 9 კი წამყვანია.

ზოგი ვაიმეცნიერი ამტკიცებს, მოზარდის გადაღლას და გადატვირთვას ინვესო (ეს თემა სხვა კუთხით მსჯელობას მოითხოვს).

ძველ თაობას კარგად გვახსოვს, რა ხალისიანი იყო სასკოლო გამოცდები ვარდობისთვის, ესთეტიკური, ემოციური მოსწავლეებისთვის, პედაგოგებისთვისაც. იყო ფუსფუსი, მზადება, პასუხისმგებლობა. შედეგი? – ცხოვრებისთვის მომზადებული ახალგაზრდების გამოშვება, კონკურენტუნარიანი სტუდენტებით აუდიტორიის შევსება...

ერთ პატარა მაგალითს მო-



მხარს უმშენებენ გამოცდილი, ერუდირებული პირველი მოადგილე: **ნინო ბერიძე**, შემოქმედი მოადგილეები: **სვეტლანა მამრამი** და **რუსუდან გორდელაძე**, მენეჯერია ერთგული მზრუნველი **ზოია მათეშვილი**.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ქეთევან გრძელიშვილი** თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს.

საგნობრივი კათედრის გამგებზე რა ვთქვათ? რა და ის, რომ ისინი ეფექტიანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის კატალიზატორები, უღალატო მეთოდისტები არიან. გაიცანით დანწყებითი: **ლელა მუშუკოპიშვილი**, ქართული ენისა და ლიტერატურის: **ლიანა ღვთისიაშვილი**, უცხო ენის: **სალომე ვაიტაძე**, ესთეტიკის კატედრაზე **მაგდა ბენაშვილი**, ბუნებისმეტყველებისა – **ნანა ხატური**. საზოგადოებრივ

წამყვანები არიან: მათემატიკის მასწავლებელი – **ვაჟა ორელაშვილი**, ქართულისა **ია ყანდაშვილი**, ბუნებისა – **მაკა ჯავახიშვილი**, დანწყებითი საფეხურის: **თამარ ნანდოშვილი**, **სოფო ჭარბაძე**, **მაია ბურდული**, **მარინე ალადაშვილი**, **ნინო სახელაშვილი**. ქიმიისა – **მაია მაჭარაშვილი**.

ისეთებიც არიან, ვინც გულში სუფოროვის სიტყვებს იმეორებს: „ის ჯარისკაცი არ ვარგა, ვინც გენერლობაზე არ ფიქრობს“.

ჩვენს სკოლაში შიდასასკოლო გამოცდები ტარდება 9-11 კლასებში. ვფიქრობ, მოსწავლეებს იგი აძლევს მოტივაციასა და მეტ გამოცდილებას.“

ჩვენც დავამატებთ: სასკოლო გამოცდები, როგორც კლასებში გადასაყვანი, ისე გამოსაშვებები, მკვეთრად ამალღებს სწავლა-აღზრდის ხარისხს, მოზარდის ნებისყოფას, ამტკიცებს შექმნილ ცოდნას. ისე არ არის, როგორც

ვიტან და მერე თქვენ იმსჯელებთ, რომელი სჯობს, რაც ადრე იყო თუ, რაც ახლა არის.

გასული საუკუნის მიწურულს დედაუნივერსიტეტის საგამოცდო კომისიას თავსატეხი გაუჩნდა. ორი თანაბარტულიანი ნაწერიდან რომელი აერჩიათ. აი აქეთ, აი იქეთ. რა კრიტერიუმები არ მიუყენეს. გორდიას ნასკვი **მზექალა შანიძე** გადაჭრა – თვალსაჩინოდ, უკეთესი ხელით (კალიგრაფიით) ნაწერს მიანიჭეს უპირატესობა.

წინილებს შემოდგომაზე ითვლიანო. სასწავლო შემოდგომა კი იწინისა. გვჯერა, სკოლა ბევრ ნიწილს დაითვლის სასწავლო წლის დასასრულს.

დიდი მადლობა თქვენ სწავლასა და აღზრდაში ბევრითად გარჯისთვის, 179-ე სკოლებო!

ია ყანდაშვილი,

ბორის მიშველაძე

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.



ური შემოქმედი, „იგივე მხნე, იგივე მღერალი, მოყვარე თავის მინისა“. იშვიათად შემხვედრია ბავშვებზე და პედაგოგის პროფესიაზე ასე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. რა დამაინტერესებს მის ნაყოფიერ მოღვაწეობას თბილისის 130-ე

დამოკიდებულების წყალობით, მალე ეს ვითარება შეიცვალა.

დისტანციური სწავლების სწორმა მენეჯმენტმა და მკაცრად დაცულმა რეჟიმმა ნდობა მალე აღადგინა. ადაპტაციის პრობლემა გადავლახეთ და მოვახერხ-

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

სწავლისა და შრომის ბიძგებს პანდემია მოეპოვება?



დედაქალაქის ამ ტრადიციულ სკოლას მონინავე პოზიციები არც დღესაც დაუთმია.

მერე რა, რომ პანდემია გვიტყვის? მას უკან დახევიანობა, - ასე ფიქრობს ყველა. ჩვენ მათი გვეჯერა, რადგანაც აქ ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ გამოცდილი დირექტორის, **ნანა ყორჭილიანის** ხელმძღვანელობით.

მესამე წელია იგი პედაგოგიურ კოლექტივს უძღვება. გამოცდილი, - ვთქვით. დიხს, გაზრდილი იაკობის „დედაებით“ წლების მანძილზე თავად იყო მზრდელი ყრმათა ამავე „დედაებით“ - დანყებით კლასებში. შემდეგ დაანინაურეს, სკოლის დირექტორის მოადგილედ გადაიყვანეს, კიდევ დანინაურდა - თავად გახდა დირექტორი 216-ე სკოლაში. ორიოდე წელიწადში ახალმა დირექტორმა უკვე დაატყო ახალ 67-ე სკოლას საკუთარი მზრუნველი ხელი და ხელწერა. ცალკეულ ხარი ცოდვა არის, - ნათქვამია, და ახა, ნანას მხარს უმხრებენ გამოცდილი, ენერგიული მოადგილე **იზა ზარანდია**.

სკოლიდან მდიდარი მასალა მომანოდეს. მინდოდა მისი კომენტარები, მაგრამ ისე პროფესიონალურად იყო დანერვილი, რომ გადავწყვიტე, უცვლელად გადმომეცა იგი.

მიუხედავად ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა, სათანადო პირობები შევქმენით იმისათვის, რომ ყველა მოსწავლე იყოს



თანასწორი, ჩამოყალიბდეს იგი ინტელექტუალურ და ტოლერანტულ პიროვნებად. პანდემიის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ყველა

რეკომენდაცია ზედმინებით არის გატარებული. სკოლის ყველა თანამშრომელი აქტიურადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლაში ფუნქციონირებს 25 კლასი, ყველა კლასს ჰყავს მაღალკვალიფიციური დამრიგებელი, რომლებიც მოსწავლეებთან და მშობლებთან კარგად თანამშრომლობენ.

2020- 2021 სასწავლო წელს სკოლა შეხვდა მომზადებული, 15 სექტემბერს სკოლაში პირდაპირ სწავლებას გადიოდა 12 კლასი. (I-VI) - 13 კლასი (VII-XII) - გადაყვანილი იყო ონლაინ სწავლებაზე. ამჟამად სკოლა ჰიბრიდული სწავლების რეჟიმზეა.

სწრაფად ავლენს ალღო დისტანციურ სწავლებას და მაქსიმალურად ჩაერთნენ ონლაინ გაკვეთილებზე.

აქტიურობდნენ ასევე სხსმ მოსწავლეები, რომელთა უმრავლესობა დღესაც აგრძელებს ონლაინ სწავლას. (სპეცმასწავლებლები: **ნ. ნათელაშვილი, ნ. მჭედლიშვილი, ნ. ზედგენიძე**, ფსიქოლოგი **ნ. სიხარულიძე**).

ონლაინ სწავლებაში გვაჩვენა, თუ როგორ არის შესაძლებელი ფოსმპოროული სიტუაციის აღქმა, ინფორმაციულ-ტექნიკური საშუალებების აუცილებლობა. სწრაფი მობილიზება და გადართვა სხვა სტილის სწავლებაზე.

სკოლაში სხვადასხვა საგნის 38-ივე მასწავლებელი, რომლებიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა საგნობრივ კათედრაზე, აქტიურად არიან ჩართული მრავალფეროვანი, სახალისო, საინტერესო გაკვეთილების ჩატარებაში. ხშირად ხდება სხვადასხვა საგნობრივი კათედრის წევრების შეხვედრები, სადაც პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და ნოვაციებს.

სკოლაში ფუნქციონირებს შვიდი საგნობრივი კათედრა: სახელმწიფო ენა- ქართული ენა და ლიტერატურის კათედრა - ხელმძღვანელი **ხათუთი ხვედელიძე**; მათემატიკისა - **ლელა კუპრაშვილი**; უცხოური ენისა (ინგლისური, რუსული) - **ნუნუ ჩხაიძე**; საზოგადოებრივ მეცნიერებათა - **გულნაზ ლორია**; საბუნებურმეტყველო მეცნიერებათა - **თამარ ლვედაშვილი**;

სპორტისა და ესთეტიკისა - **რუსუდან ხორბალაძე**; დანყებითი კლასების-ინტეგრირებულ საგანთა კათედრას უნარიანად უძღვება გამოცდილი **ზეინაზ არაბული**.

მთელი კოლექტივის წინაშე დგას პასუხისმგებლობა უსიამოვნო, გაჩერებული სამყაროს შიშის სინდრომის დაძლევაში გავლენით დახმარება მოსწავლეებს. კათედრებზე მუშავდება საინტერესო აქტივობები. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ კონფერენციებში: „სეგტიცხოვლობა“ (ონლაინ-საუბრები, პედაგოგები - **ლ. სადრაძე, მ. აფხაიძე**), ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი „დუმდა და თბილისს ებურა თახობი“, „აფხაზეთი და სამანაბლო 100 წლის შემდეგ - მცოცავი ოკუპაცია“, „რუსეთი ოკუპანტია- ხელები შორს საქართველოდან“ (ისტო-



რიის პედაგოგები: **ი. ქენქაძე, ი. ლინჯილია**) „დედის დღე“ - ნახატების და მისალოცი ბარათების გამოფენა- (პედაგოგი **რ. ხორბალაძე**), ონლაინ ღონისძიებები: „დედა მე მინდა ყოველთვის იცინო ლამაზად“ (პედაგოგი **მ. ლებანიძე**), „გაზაფხული შემოსულა...“ (პედაგოგები - **ზ. არაბული, თ. ცინცაძე**), კალიგრაფიის დღე-I-II კლასი- „ვისწავლოთ ლამაზად წერა“ - პედაგოგი - **ლ. ლომიძე, ე. ფიქრიშვილი**. ბუღინგის თემატიკაზე „არა ბუღინგს“ ყველა კლასმა აქტიური მონაწილეობა მიიღო, დამზადდა პლაკატები,ფლაერი, ბროშურები, ჩატარდა ონლაინ დისკუსიები. (კლასის დამრიგებლები: **ც. ნაყურე, ნ. რუხაძე, ლ. კუპრაშვილი, თ. ივანელაშვილი, ხ. ხვედელიძე**) მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს, ნახატებით და პროექტებით, გამოცხადებულ კონკურსში: „მოსწავლეთი დანახული კვიდი-19“ (**რ. ხორბალაძე, ნ. რუხაძე, ც. გორელაშვილი, მ. ცარციძე, ვ. აბუხანდაძე, ი. გორჩილაშვილი, მ. ბარნაბიშვილი**) ჩატარდა ონლაინ დისკუსია „საქართველოს ოქროს

ხანა - დავით აღმაშენებელი“ მე-12 კლასელთა თვალთ დანახული საქართველო, „ნარსული და ანემომ“ (**ი. ქენქაძე, ც. კვარაცხელია, ქ. ანანიშვილი**).

სკოლის ბიბლიოთეკის (**ლ. თავართქილაძე**) თაოსნობით მოეწყო ნიგნის „საოცრება“ (ავტორი-პალაციო) განხილვა, რომელიც ეძღვნებოდა ბუღინგის თემას.

საინტერესო კონფერენცია ჩატარდა საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ „პანდემია კოვიდ 19 და მსოფლიო დღეს“ (ხელმძღვანელი **გ. ლორია**)

ესთეტიკური აღზრდის საგნებში ინფორმაციულ-ტექნიკურმა საშუალებებმა ონლაინ სწავლებისას მეტად საინტერესო გახდა მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლება, პედაგოგებმა სხვადასხვა ონლაინ ღონისძიება ჩატარეს და მომავალშიც დაგეგმილი აქვთ ხელოვნების თემაზე „მუსიკის ჰანგები“ სხვადასხვა უანრის მუსიკის გამოცნობა, გააზრება. სადღესასწაულო დღეებისადმი მიძღვნილი მუსიკალური ნაწარმოების მიხედვით მინი კონცერტები ჩატარდება (**რ. გვეტაძე, ც. ნაყური**) ასევე ხელოვნების დარგში. მოეწვია გამოჩენილი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა, მისი გაანალიზება და სხვადასხვა პროექტის შექმნა-პრეზენტაცია (**თ. ლომიძე**).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა (**თ. ლვედაშვილი, ქ. ედილაშვილი**), მუდმივად ატარებს ონლაინ საუბრებს და დისკუსიებს ეკოლოგიაზე.

სკოლა ჩართულია „სკოლათაშორის დისტანციური დებატების ტურნირი 2021-ში“. გუნდურად გავედი მეოთხედფინალში, და ჩვენი მოსწავლე, **ლიზა ქარდავა** დასახელდა ტოპ-სპიკერად (ხელმძღვანელი: **გ. სახელაშვილი**).

ჩართული ვართ **ნიკო კეცხოველის** სახელობის კონკურსში და ამ კონკურსის ფარგლებში სკოლაში მოვიწვიეთ ფსიქოლოგი, რომელიც ესაუბრა მოსწავლეებს ადიქციის, იგივე დამოკიდებულების პრობლემაზე მოსწავლეებში (**გ. სახელაშვილი**).

უცხოური ენების კათედრა (**ნ. ჩხაიძე, ლ. საქუაშვილი**) ძალ-ღონეს არ იშურებს მოსწავლე-



ბში მეტყველების განვითარების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის და ატრებს კონკურსს თემაზე „ვიკითხოთ სწორად და გამოთქმით.“

მე-10 კლასის მოსწავლეებმა იმუშავეს საინტერესო პროექტზე „ეკონომიკა და ილია ჭავჭავაძე“ (ხელმძღვანელი **მ. თავართქილაძე**)

სკოლის დირექცია კარგად აცნობიერებს ეპიდსიტუაციით გამოწვეულ სირთულეებს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მაქსიმალურად ხელი შეუწყოს კოლექტივს საქმიანობის წარმართვაში.

თბილისის 67-ე საჯარო სკოლის მთელს კოლექტივს გააზრებული აქვს, რომ დასაფასებელია ცხოვრების ყოველი წამი და ადამიანებთან ურთიერთობა. ერთმანეთის ურთიერთპატივისცემა, სიყვარული, ერთმანეთის მოფერება - ამ მიზნით ძალისხმევას არ იშურებს მოსწავლეთა აღზრდა-განათლების საქმეში. დასახული ამოცანა, აღზარდოს ინტელექტუალური, თანამედროვე უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, ტოლერანტი მომავალი თაობა, ცხოვრების ყოველმხრივ



მომზადებული ახალგაზრდობა, შესრულებული იქნება. ასეთია სკოლის დირექციის, პედაგოგთა და მოსწავლეთა პირობა, მათი სიტყვა და საქმე, რომელიც არასდროს დასცილება ერთმანეთს.

თქვენი მოღვაწეობის ამ მეტად რთულ და დაძაბულ გზაზე გამარჯვებას გისურვებთ, 67-ე სკოლელებო!

ბორის მიხველაძე, განათლების მეცნიერებათა დოქტორი

პირველი წიგნი პირველი უპილიპიტაა

ოთხი ნათლია ჰყავს საბავშვო პოეტ **ლეილა ვადაჭკორიას**: გაზეთი „სახალხო განათლება“, ყურნალები: „ათინათი“, „ალმანახი“ და „დილა“. აქ გამომხვეურებული ლექსების ნაღებია ეს პირველი კრებული.

პირველი შეილივითაა პირველი წიგნი. რამდენიც უნდა ჰყავდეს, მშობელი არცერთ პირმშოს არ არჩევს, გულის სიღრმეში მაინც, პირველ შეილს სხვა ხიბლი აქვს. წიგნში შესული ლექსების დიდი ნაწილი საბავშვოა. კრებულის სათაურია: „**ციდან მოკრეფილი ვარსკვლავები**“.

ლეილა ვადაჭკორია პედაგოგია. იგი უფრო ახლოსაა მოზარდის ფსიქიკასთან, ადვილად პოულობს მათ



გულებთან მისასვლელ გზას. ბავშვის აზროვნება ხატოვანია, ძნელად ეგუება ცნებებით მსჯელობას. შეიძლება ანდაზა, მაგალითად, „ტყუილს

მოკლე ფეხები აქვსო“ ზეპირად იცოდეს, მაგრამ ვერ გაიზაროს. „ვიცი, ისევ იტყუები, ახლა უკვე მესამედ, ნუთუ ერთი თვეში ვაფა ასე მალე შეჭამე? შენ ფგონია, ვერ გხედავდნენ, რომ იყავი მარტოკა? ლუკამ ნახა, შენი თევში ფისომ როგორ ალოკა. აწი აღარ მოიტყუო, კმარა ჩემო ნუციკო, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“ ხომ გასწავლა დედიკომ.“ ნუციკოს შერცხვა.

ასე ოსტატურად ამყნობს **ლეილა ვადაჭკორია** ხალხურ სიბრძნეზე თავის პოეტურ სტრიქონებს.

მრავალფეროვანია კრებულის თემატიკა: აი, განყოფილებები: „**ბავშვები - ჩვენი ცხოვრების გულვარდევავილები**“, „**ცა - ფირუზ ხმე-**



ლეთ - ზურმუხტო“, „**მამულს გული - უპირველეს ყოვლისა!**“ „**მიჰყევ ბრძენისა რჩევასა**“. ამ მოკლე ანოტაციით მოგუწოდებ მშობლებს, სკოლის

პედაგოგებს (განსაკუთრებით დანყებითი კლასებისას), ბავშვების აღზრდელს, ყველა მკითხველს: შეიძინეთ ეს მეტად სარგო წიგნი, გამოგადგებათ ყველაფერში (პოეტთან კავშირი: 555-42-46-54).


მოსწავლე-ახალგაზრდობაც, გირჩევთ, ზომიერების დაცვით გარკვეული დოზით მაინც მოწყდით თქვენთვის წერაკითხვის დამავინყებელ კომპიუტერ-მობილურებს, მეტი დრო დაუთმეთ წიგნის კითხვას!

ჩემი რჩევის მოყოლით მოგებული იქნებით!

ბორის კინდელი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

„ქართული ენის სიტკომან მასურბა მუსიკობანი“

შენ, როგორც მარად მზაებრ გვინათ, გაჩნდი ოცდაათი საუკუნის წინათ




მსოფლიოში არცერთ დედაენას არ უდგას ძეგლი, ეს მხოლოდ საქართველოშია. ასე რომ 14 აპრილი ყველა ქართველისთვის და საქართველოს მოყვარულისთვის დიდი დატვირთვის მატარებელია... უფრო მეტიც, იგი ყოველდღე უნდა ვიხეიძოთ, რომ გადავრჩეთ. რომ შევინარჩუნოთ ჩვენი მეობა, ჩვენი ეროვნული თავისთავადობა, თორემ ხომ ვიცით „რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს, წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას.“

სკოლა-ლიცეუმ „ცოდნაში“ ეს თარიღი პროექტ „ქართული ფესვების“ ფორმატით აღინიშნა (პროექტის ინიციატორი და კოორდინატორი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი დარეჯან ცხომარია) - ჩატ-

რთული კულტურის საზოგადოების კულტურის ელჩი, დედა ენის საკვირაო კურსების მასწავლებელი, ფონდის „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთის რესპუბლიკაში ქალბატონი მერი დიასამიძე, სტამბოლის ქართული ენის ცენტრის პლატფორმის თავმჯდომარე ბატონი ეშრეფ ილმაზი, სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის დამფუძნებელი ბატონი ორპან ბერიძე.

რთველოს გენერალური კონსული ტრაბზონში, ქალბატონი სოფო ბოლქვაძე - ფონდის „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში; ფონდის „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“, პროექტების კოორდინატორი ქალბატონი ეკა კვიციანი. ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახალხის, ზურაბ გორგილაძის სახელობის ნორჩ შემოქმედთა კლუბ „ზღვაურის“ ხელმძღვანელი, პოეტი,



მარე ბატონი ოსმან ჩალიშქან-მუჟავანაძე, სტამბოლის ქართველთა საგანგში არსებული ბავშვთა შემოქმედებითი ჯგუფი „შინ“ - ხელმძღვანელი ქალბატონი ჟოზია ირემაძე, ქართული ენის ცენტრის პლატფორმის თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონი ეკა ნადირაშვილი; ჟურნალისტი ქალბატონი ბელა ბასილაია, სტამბოლის ქართული ენის ცენტრის დამფუძნებელი საბჭოს წევრი;

ორივე მხრიდან იყო საუბრები ქართული ენის განსაკუთრებულობასა და უნიკალურობაზე; ასევე, პროექტის „ქართული ფესვების“ მნიშვნელობასა და აქტუალობაზე.ორივე მხრიდან ითქვა ბევრი თბილი და ამალეღვებელი სიტყვა, მოსწავლეებმა წარმოაჩინეს შემოქმედებითი უნარები ლექსებით,



არდა მორიგი ონლაინ-შეხვედრა ჩვენს პარტნიორ,თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებთან,რომელთათვის ყველაფერი ქართული ძვირფასი და სათაყვანებელია..

შეხვედრა იყო ემოციური, შთაბეჭდილებებით სავსე... სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ სტუმრები იყვნენ - გლდანინაძალადევის გამგებლის მოადგილე ნანა ციმაკურიძე, მსახიობი,მწერალი და საზოგადო მოღვაწე გივი სიხარულიძე, გლდანინაძალადევის საკრებულოს დეპუტატი შალვა ოგბაიძე, პოეტი ლალი ფრუიძე, ანსამბლ „გვირილას“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ერნა ნიფურია, ასოციაცია „საქართველოს ქალების“ დამფუძნებელი ნინო ჩიხლაძე, მშობელი ნინო ხელაია-სიჭინავა...

გვესტუმრნენ სკოლის პარტნიორები სტამბოლიდან: ბეიქოზი - ბათუმის ქა-



ასევე ესწრებოდნენ ძვირფასი პიროვნებები: ბატონი გელა ჯაფარიძე - საქა-

ქალბატონი ბელა ქეპური; ბეიქოზ - ბათუმის ქართული კულტურის საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი ალი ქემალ ქილიჩი; სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის თავმჯდომარე ქალბატონი სეზენ, სალომე გონენი ოქჯანი; ორპანგაზის კავკასიური კულტურისა და დახმარების ასოციაციის თავმჯდომარე ბატონი ადემ თურანი; საგანმანათლებლო ორგანიზაცია „მნივნობარის“ წევრი მოსწავლეები და პედაგოგი გიტა ლემსაძე, საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის თავმჯდო-

სიმღერებით..შეხვედრის დასასრულს დაისახა სამომავლო ღონისძიებები.

ღონისძიებამ ჩაიარა დიდი ილიას ტრიადის „ენა, მამული, სარწმუნოება“ სულისკვეთებით. „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის.“ ამდენად, ამ ღონისძიებას მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის მიმართულებით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ნელი დიასამიძე, ლიკა ლავკილავა, დარეჯან ცხომარია.

რედაქტორის მინანური: რედაქციის სახელით დიდი მადლობა ამ პატრიოტული ზეიმის შემოქმედთ დირექტორ ნაზი ნადირაძის მხარდაჭერით.



ინიციატივა, შემოქმედებითი აზროვნება



რაჯ უფრო რთულია გამოწვევა, მით უფრო გამოიწვევა, წარმოჩინდება ადამიანისა და ადამიანთა ჯგუფის, მავანი კოლექტივის სიმტკიცე, ბრძოლისუნარიანობა, შემოქმედებითი აზროვნება, საქმის ერთგულება.

სწორედ ასეთი თვისებები ცხადყო ეპიდემიის ურთულეს ფონზე თბილისის 89-ე საჯარო სკოლამ, განათლების დარგის მრავალნაწიანი მუშაკთა მენტორი დირექტორი, ქალბატონი **მიმოზა ტყეშელაშვილი** რომ უდგას სათავეში: სკოლამ არათუ მოსწავლეთა ხარისხიანად სწავლა/სწავლება უზრუნველყო, ერთობ საინტერესო და საჭირო ფსიქოლოგიური კვლევის ჩატარებაც შეძლო. საჭირო არათუ მხოლოდ ამ სკოლისთვის, არამედ განათლების სისტემისთვის, რადგან მისი შედეგების განზოგადება-გათავისუფლება უთუოდ ნაადრევია ეპიდემიის პი-


რობებში მომუშავე სკოლებს მუშაობის უკეთ წარმართვაში, ცხადია, სკოლის ფსიქოლოგს, ქალბატონ **თიკო ბუჯანიშვილს** ამაში მთელი კოლექტივი ედგა მხარში. და კიდევ - მშობლებთან ასეთი ახლო, საქმიანი დამოკიდებულება უცებ ვერ ჩამოყალიბდებოდა. ეს სკოლის მრავალწლიანი მიზანმიმართული, გაზრებული შრომის შედეგია. სახელდობრ, რა გამოავლინა ამ კვლევამ? ვნახოთ...

89-ე საჯარო სკოლამ გადამწყვეტი ჩატარებინა კვლევა იმის გამოსარკვევად, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებსა და მშობლებს პანდემიის პირობებში შემოღებული სწავლების მოდელის მიმართ. კვლევა ჩატარდა საფეხურების მიხედვით: დაწყებითი, საბაზო და საშუალო. შედეგ კითხვარი აღნიშნული კლასებისა და ასევე მშობლები-

სთვის. კითხვარმა გაიარა ექსპერტული შეფასება. იგი ანონიმური იყო და 12 ღია და დახურული ტიპის კითხვას შეიცავდა. კითხვარი შესავსებად თითოეულ მონაწილეს დაახლოებით 1 კვირა ჰქონდა.

პასუხებმა ცხადყო, რომ მოსწავლეების უმეტესობა დისტანციურ სწავლებაში აქტიურად იყო ჩართული. ისინი ესწრებოდნენ გაკვეთილებს Teams-ში, ჰქონდათ მუდმივი კონტაქტი მასწავლებლებთან, ასრულებდნენ დავალებებს და ისმენდნენ ტელეგაკვეთილებს. ასაკის მატებასთან ერთად, ტელეგაკვეთილებზე დასწრების სიხშირე იკლებდა. დისტანციური ურთიერთობისთვის მოსწავლეები ასევე აქტიურად იყენებენ Facebook/Messenger-ს.

მშობლების უმეტესობა აქტიურად აღმოჩნდა ჩართული სასწავლო პროცესში. ისინი



აღნიშნავდნენ, რომ ყოველთვის ამომწებდნენ შეილებს. თუმცა, დახმარებას მხოლოდ საჭიროების მიხედვით უწევდნენ.

მოსწავლეებსა და მშობლებს ვთხოვეთ, დაესახელებინათ დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები. პასუხები აზრობრივად გავაერთიანეთ კატეგორიებში. მშობელთა აზრით, დისტანციურმა სწავლამ ხელი შეუწყო ბავშვებისთვის ახალი უნარების გამომუშავებას, როგორც პიროვნული, ისე ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით. ბავშვებისათვის ეს სიახლეების ძიების დასასწავლი ადგილია. ასევე, ნახალისა მათი ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების შესაძლებლობა. მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა დროისა და გარემოს კონტროლის შესაძლებლობა. სტრესისა და ხმაურის დონის შემცირებამ, მათი აზრით, პოზიტიური გავლენა იქონია სწავლების ხარისხზე.

უარყოფითი მხარეთაგან, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად ტექნიკური ხარვეზები და გადაჭარბებული ინტერნეტდამოკიდებულება სახელდებოდა, რაც უარყოფითად მოქმედებდა მათ ჯანმრთელობაზე. უარყოფითად დასახელდა



რეალური ურთიერთობების სიმცირეც, რის გამოც ყმანვილებს სწორად უჭირდათ სასწავლო პროცესის ადეკვატური აღქმა. კვლევაში მონაწილეები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ დისტანციური სწავლება შეედრება სრულყოფილ სასწავლო პროცესს.

აღნიშნული კვლევა ტარდება 2020 წლის მარტიდან. შედეგებმა საშუალება მოგვცა, გავგეზარდა მოსწავლეების ჩართულობა. აღსანიშნავია, რომ 2020-2021 სასწავლო წლიდან გრძელდება კვლევა, რათა საბოლოოდ გაუმჯობესდეს დისტანციური სწავლების ხარისხი.

თიკო ბუჯანიშვილი,
89-ე საჯარო სკოლის ფსიქოლოგი

152-ე სკოლელები მოგავლის იმედით საქმიანობანი

მტკიცედ სწავთ - შეუპოვრობა წარმატებას მოუტანთ



კარგად ვიცნობ ამ სკოლის პროფესიონალ პედაგოგებს და მათ გამოცდილ დირექტორს, **თამარ გურამიშვილს**. ბევრ წარმატებას მიაღწიეს სწავლებისა და აღზრდის ხშირად ია-ვარდით არმოფენილ გზაზე. მტკიცედ მისდევენ შოთას მცნებას: „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“.

ჭირია, აბა რა არის კორონა-პანდემია, რომელმაც მსოფლიო ლამის დააჩოქოს.

ეს გაუსაძლისი მთელი სასწავლო წელი, შარშანდელი და წლევიანდელი, როგორც იტყვიან, თითქმის უდანაკარგოდ გადალახეს. იყო ბევრი გამოწვევა, სასიხარულო შედეგებიც. კარგად გაართვეს თავი იძულებით სიახლეს, რომელთანაც ადაპტირება დადესაც ძნელი პროცესია. ეს გახლავთ დისტანციური სწავლება, მასთან შეერწყმული დასწრებული სწავლების პერიპეტეიები, რომელიც ადრე ბუნებრივი პროცესი იყო. ამაზე და სხვა საკითხებზე

მინდა მოვიხსენიო გამოცდილი მოადგილეები დირექტორისა **ნანა ლეშკაშვილი** და **იზოლდა ჩუთლაშვილი**, რომელთაც ლომის წილი შეაქვთ სკოლის წარმატებასა და „ჭირსა შიგან ქვითკირით“ გამაგრებაში.

გვესაუბრება ღვაწლმოსილი დირექტორი სკოლისა **თამარ გურამიშვილი**:

ეს არის ახალ გამოწვევებთან და სიახლეებთან ადაპტირების წლები, რომელმაც რთული პრობ-



ლემის წინაშე დგავდნენ. თუმცა ყველა პრობლემა მეტ-ნაკლებად დაძლეულია ერთმანეთის გვერდით დგომით.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ბოლო ორი წლის გარკვეული პერიოდი, სასწავლო პროცესი დისტანციურ რეჟიმში

ჩამოვიყალიბეთ დისტანციური მუშაობის უნარ-ჩვევები, ვისწავლეთ თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება.

პრობლემების ჟამს ერთ დიდ სამუშაოებდად შეიკრა მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე. ყველა ჩაერთო Teams - ის პლატფორმაში, ვსწავლობდით და ვსწავლიდით. შედეგმაც გააძაბო. იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი მშვიდ და უსაფრთხო გარემოში დაგვეწყო, გავატარეთ ყველა საჭირო ღონისძიება, რა-



საც პანდემიის პირობებში რეკომენდაციები და რეგულაციები ითვალისწინებდა. პირველ რიგში მონესრიგდა ინფრასტრუქტურა, საკლასო ოთახები, კლასებში მერხები განლაგდა ერთმეტრიანი დაშორებით, მოსწავლეთა ნაკადის განტვირთვის მიზნით სკოლა გადავიდა ორ ცვლაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადმოგვეცა ყველა საჭირო სადღეისოფექციო საშუალება, დისტანციური თერმომეტრები, პირბადეები, დეზობარიერები და ა.შ.

მოეწყო საიზოლაციო სივრცე და ოთახი. ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი. კლასებში მშობლებთან და მოსწავლეებთან ჩატარდა საუბრები კოვიდ-რეკომენდაციების გასაცნობად. მოსწავლეები ატარებენ პირბადეებს, იცავენ ერთმეტრიან დისტანციას, ტარდება თერმოსკრინინგი, ხელების სადღეისოფექციო ხსნარით დამუშავება. გაძლიერებულია მასწავლებელთა მორიგეობა, მითითე-

ბულ საათებში სველი ნერტილები, კლასები, ინვენტარი, დერეფნები მუშავდება შესაბამისი ხსნარით. ყველა პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს მშვიდ და უსაფრთხო გარემოში.

სიამაყით აღვნიშნავთ, რომ დაწყებით კლასებს ასწავლიან მაღალკვალიფიციური პედაგოგები 12-დან სამი წამყვანია და 9 კი - უფროსის სტატუსის მქონე. ისინი თავდაუზოგავად შრომობენ და მათი მოსწავლეები წარმატებას აღწევენ, როგორც სკოლაში, ასევე კლასგარეშე აქტივობებში. დღეის მდგომარეობით სკოლაში არის ხუთი პირველი კლასია: 1¹-ის - პედაგოგია **დალაქიშვილი ინეზა**, 1²-ისა - **დავითური ლილი**, 1/3 - **ბინაძე თეა**, 1⁴ - **ალადაშვილი სალომე**, 1⁵ - **ხუნდაშვილი ია**.

კათედრის ხელმძღვანელია **ინეზა დალაქიშვილი**.

დირექტორია - **თამარ გურამიშვილი**, მოადგილეები - **ნანა ლეშკაშვილი**, **იზოლდა ჩუთლაშვილი**, **მენეჯერი - ქეთევან ალექსიშვილი**, **სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე - სოფიო კუპატაძე**.

საგნობრივ კათედრებს გამოცდილი პედაგოგები უძღვებიან: ქართული ენა-ლიტერატურისას - **ტურაშვილი ლალი**, მათემატიკისას - **გილიგაშვილი ლილია**, უცხოური ენისას - **გოგოლაძე ნინო**, საბუნებისმეტყველოს - **მიქაძე იამზე**, საზოგადოებრივი მეცნიერებების - **გოგოხია თეა**, ესთეტიკის კათედრას - **პეტროსიანი მარინა**, დაწყებითებისას - **ინეზა დალაქიშვილი**.

სკოლაში მუდმივად ტარდებოდა მრავალფეროვანი ღონისძიებები, თუმცა არსებული ვითარებიდან გამომდინარე, იგი ტარდებოდა და ტარდება დისტანციურ რეჟიმში.

სამომავლოდ, გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა აქტივობა: ტერიტორიის დასუფთავება, სკოლის უბოში ნარგავების გაყვანა, შეხვედრა ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტებთან... ვგეგმავთ პოეზიის საღამოს



და შეხვედრას ახალგაზრდა პოეტებთან

დაგეგმილი გვაქვს სოციალური პროექტი მოხუცთა სახლის დასახმარებლად,

პირველი კლასის დასრულებასთან დაკავშირებით იგეგმება საკლასო ღონისძიებები - „**ანბანთქება**“.

გვეყავს სტატუსიანი პედაგოგები. წამყვან: **ლია ბურდული**, **ლილი დავითური**, **თეა გოჩიტაშვილი**, **ირმა პაპუაშვილი** და უფროსი 50 მასწავლებელი.

ამ ინფორმაციის უკან დგას პედაგოგთა, დირექციის, მოსწავლეთა, მათი მშობლების თავდადებული, მშფოთვარე ცხოვრება, სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მაღალი შედეგებისთვის



ბრძოლის წყურვილი. ბარაქიან სასწავლო შემოდგომას გისურვებთ, 152-ე სკოლელებო!

ზორის ეპენიძე

ქვემოთ საუბარი სკოლის დირექტორთან ინტერვიუში.
მანამდე მადლობის სიტყვებით

მიმდინარეობდა. საწყის ეტაპზე იყო გარკვეული პრობლემები, მაგრამ ერთმანეთის დახმარებით, გამოცდილების გაზიარებით,

ისევ ხერთვისი, ისევ თობოვი, ისევ მარაბდა...

თენგიზ ვასილის ძე პაპაშვილი დაიბადა 1963 წლის 11 დეკემბერს სოფ. ტაბახმელაში. 1981 წ. დაამთავრა ტაბახმელას საშ. სკოლა. 1983 წ. განათლებით არის იურისტი.

1985 წლამდე რამდენიმე გაზეთში დაიბეჭდა. შემდეგ აიღო შემოქმედებითი „პაუზა“, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტად გაჭიანურდა.

ლექსებს წერს სკოლის ასაკიდან. 2018 წლიდან იბეჭდება ჟურნალებში: „აფინაჟი“, „ათინათი“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში. დაბეჭდილია „ლექსის აკვანის“- ყველა, დღემდე გამოცემულ, ტომში.

გამოსაცემად ამზადებს ლექსების კრებულს.

ჰმყავს მუხლავი, სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

ვახსენოთ ღმერთი და შევეუდგეთ გზას!

არც ხატი მწყალობს...

ახლა ფიქრებთან ისევ მარტო ვარ, ნაღველს ვიქარებ ცივი „მარტინით“ დღეს უშენობამ არ მიმატოვებ და შევისახლე სულში მარტოვით.

მორჩა, გადაწყდა, მივიღივარ შენგან, გული ვერ უძლებს ამდენ ქარაშოტს. ავად სისინებს ბედი მუხთალი, - სადაც არა სჯობს, ისევ გაცლა სჯობს?!

გული ნამართვი, დღეს სტრიქონს ითხოვ, დაუდევარი სულის „ლოკატორს“. გეაჯუბოდი, ირწმუნე თითქოს, მთვარის ნათელი სტრიქონს ლოკავს-თქო...

გამომატარე ბედის გზანჯირილი, ჩემი და კიდევ ქრისტეს ასაკი. მიტოვებული გმინავს ეს გული, ვით ხიროსიმა და ნაგასაკი.

დღეს უკეთ იცი სტრიქონს რა სტკივა ან გული რამაც დამიავადა. ხათრით დაეცა ჩემი დიდგორი, მაგრამ ვერ შეძლებ, დასცე მარაბდა.

კვლავ მარტოდ მტოვებ ჩემს საწუხართან, კიდევ გამოჩნდა ფსკერი „მარტინის“. სტრიქონს ვაფიცხებ ყრობის ბუხართან და ყველაფერი ხდება მარტოვით.

დაჩოქილი ვარ სამყაროს ფეხით, სული ჯვარცმული ითხოვს შენდობას. არც ხატი მწყალობს და აღარც ღმერთი და ღმერთის ხელში მკლავს უღმერთობა....

26. 01. 2021წ.

ახლა სტრიქონს გეძვენ. . .

ეს საღამო ილევა, მწუხრს გაუდის განგაში, დარდის პარაკლისია, მწუხარების სავანე, ღამის ტკბილი სიზმარი ანგელოზთან ფრთებს გაშლის, შენზე მოგონებები, რით ვერ დავასამარე.

მწარედ ზეობს იენისი, დარდი ვით დავიამო, ყავლი გასდის ღამეს და დღეა მიუსაფარი. შენს ლოდინში სულს ღაფავს შფოთიანი საღამო, მე კი სიზმრებს ვაცილებ, დაფითა და ნაღარით.

ახლა ისევ მარტო ვარ, სული შფოთავს დალილი, წუხილს მიერეკება სევდის სანაპიროზე. ისევ თავს შემახსენებს, წლები უხმოდ ჩავლილი და შენი გალიმება ჩემს გაცრეცილ ტილოზე.

სულს წუხილი მიზაფრავს, სიოც კი მღლის სავანის, მწუხრის ზარებს რეკავენ არის ყრუ მისტერია. რად ვარ ჩემი ლექსივით დღემდე მიუსაფარი, შენთვის ვითომ ეს ლექსი, არც კი დამინერია.

ახლა სტრიქონს გეძვენ, ლექსის ნიამორები, შენზე სიზმრებს გამიქრობს, მოწყენილი საღამო. თვალის მოკვრა არ მინდა, აჩრდილს ვეამბორები, იცი, რომ შენ სიყვარულს, ვანაცვალე სამყარო?!

ნუ გამიწყურებნი...

შენ რას გაუგებ ამ გულის მინორს, ჟამი დამიდგა მკაცრი გამოცდის, ბაგეთა შენთა დანაღმულ მინდორს, ვერასდობს ვერ ვერ გამოვცდი. ვერ გამოვცდი და სული დავლუპე, გრძობებს ვაძევევ ლაქაშებიდან, გამოვიყვანო, რომ თვალთა უპე, ცრემლის უეცარ დამლაშებიდან. დრო იყო, ძილშიც რომ გაღმერთებდი, როცა ვმწყემსავდი სიზმრის ქარავანს. ვაგლახ, გამიწყურებ მუზის ღმერთები, ძერაც სულს მკორტინს დაუფარავად. ვარ გალემილი ტრფობის თრიაქით, გულმა დღემდე ვერ მოგისაკლისა. უიღბლოდ მდევნის ბედი - „იაქი“ და ანარეკლი ძველი სარკისა. ნისლის ფარდაგი ღამემ აკეცა, რითმები მრჩება ამოდ ნაყარი და შერჩი ჩემი იმედის ზეცას ლექსად, სულიდან ამონაყარი. უხმოდ მივეყვები წლების ქარავანს და უშენობის წამი მაბრუნებს, სამყარო მებრძვის დაუფარავად, ბუმერანგივით შენსკენ მაბრუნებს. გადახსნილი მაქვს კვლავ სულის მავა



ლოდინმა გახრა სულის ქამანჩა და მენამული შენი დელგმიდან, ეს სტრიქონებიც ველარ გადარჩა. როდი მიმტყუნა დღეს მუზის გეშმა, თუმც ჩამიქციე სულის საძვალე. შემომჩენია მაცდური ეშმა და უშენობით თრობას მაძალებს. ვერ გაპატია გულმა ნატყენმა, ნუ გამიწყურებ: უფალს გაფიცებ! მე კი დღეიდან შლეგ მონატრებას და უშენობას ვუძმადნაფიცებ!

გალემილია ღამე თრიაქით...

მზე გადაეშვა უხმოდ დასავლით, ღრუბლის ქულებზე მთვარე ბანაობს. ქარმა წამართვა ბოლო ნადავლი, ვემშვიდობები მწუხრის ფარაონს.

ჯერ ღამეს ისევ ბურანში სძინავს, სულს ვერ მიბორკავს დარდის მჭიდები. ვით უბინაო, დაეძებს ბინას გული ჩემი, თუ ისევ გჭირდება.

მაინც გიგულე ისევ საგულეს და რადგან ასე არ მემეტები. შენ ჯვარცმის მეტი არა მარგუნე ვერც ძველებურად მიემედები.

ღამე უძილო თავზე დამატყდა, სულს მიბოჭავენ სიზმრის ღვედები. ჩემი ნაწერი სტრიქონის რა ვთქვა, თორემ მე და შენ ერთად ვბერდებით.

ჯერ ღამეს ისევ ბურანში სძინავს, შემრჩა წუხილი სევდით ნაფერი და გადანისლულ სავანის ნიავს მოაქვს ნაღველი სხვა არაფერი.

უფალი ტრფობას მიზომავს მისხლით ვნების მორევი ღამის დამახრჩოს.

ტაბახმელიდან ნაწური სისხლით, კრწანისის ველზე გიზრდი ყაყაჩოს.

გალემილია ღამე თრიაქით, ღრუბლის ქულებზე მთვარე ბანაობს, დალაღს იგრინავს სული ტრფიალით და გული კვდება უიარაღოდ...

ისევ ხერთვისი, ისევ თობოვი, ისევ მარაბდა...

ჩემი ხერთვისი, ჩემი სამცხე, ჩემი აწყურნი, სისხლი ქართული-რქანითელა დღეის ნაწური.

გრემი, იყალთო, ალავერდი, თობოვი, მარაბდა, ჩემი ტკივილი ვერც ამ გზებზე დაპატარავდა.

ჩემი არმაზი, ჩემი მცხეთა, ჩემი ხახული, ცრემლის გარეშე ერთხელაც კი არ მაქვს ნახული.

ტბეთი, ვარძია, კლარჯეთი და სამცხის ვარამი, ო, ტკივილები, ტკივილები სასოს მფარავი.

ოშკი და ბანა, მწუხარების დამდის რიონი, ისევ კრწანისი, შეღებილი ცის დაფიონი.

გულს კვლავ მისერავს არტანის,ლორე, სამშვილდე, დავმშვიდდე, მაგრამ აბა მითხარ, როგორ დავმშვიდდე?

ოშკი ვერ ოშკობს და ხახული ველარ ხახულობს, უფალო, მამულს ნუ მიტოვებ უჭარნახულოდ.

ჩემი ხერთვისი, ჩემი ოშკი, ჩემი აწყური, სისხლი ქართული-რქანითელა დღეის ნაწური...

შენი მაქვს ვალი...

მამულო! კვლავაც შენს დაძახილს შევხვდი კრწანისზე, იქ შემავება მშობელ მინამ ჩემი ჩონგური. ვგავდი უენოს, შენ ცხოვრება გამიხალისე, მუნჯი ვიყავი, ვით ბირთვისის, თობოვის ქონგური.

შენს სიყვარულმა დამამუნჯა სატრფოზე მწყრალი, გრძობებით დაღლილს მომელოდა მკაცრი გამოცდა.

მე სიკვდილამდის სიყვარულის შენი მაქვს ვალი, შენდამი ტრფობა ამჯერადაც ლექსად წამოცდა.

„კოეზია - უპირველეს ყოვლისა!“

მეტად მიყვარს და მიტაცებს

მე ვიყო ვარ.... ელისაკი დავირქვი. რას ნიშნავს? - ჩემი ფსევდონიმა: ელი მოლოდინია, რადგან სულ რაღაც საოცარს ველი, საკი კი გვარადანაა. ასე იქცა ერთ სააკაშვილი ელისაკად... ამბობენ, უცნაური ხარო; ალბათ, იმიტომ რომ „ცნაური“ არ ვარ. ძნელია ჩემი ამოცნობა, შინაგანად მუდმივად თან მდევს სიმარტოვის განცდა. სევდის-ფერში ვხედავ სამყაროს. თუმცა, სახე მიღმის და გარეგნულად ღმირისფერი ვარ...თოჯინები მაქვს. ჩემი საყვარელი ადამიანების სახელები ჰქვიათ. როცა ძალიან მომენატრებიან, მათ ვეფერები....ქარი არ მიყვარს, ქარიან დღეს უღიმღამო, უსიცოცხლო დღეს ვეძახი. რატომ ვარ მასწავლებელი? ბავშვები მიყვარს. ისინი ღმერთის თვალებით მიყურებენ. სკოლა ჩემთვის სცენაა, სადაც სულ ბედნიერი და მხიარული უნდა ვიყო, რათა ბავშვებს სიხარული მივანიჭო...დღეებს ფერებად ვყოფ - საყვარელი ფერი მწვანეა. ამბობენ, პოეტი ხარო; არ ვიცი, უბრალოდ, ჩემს ფიქრებს ვწერ....მე ელისაკი ვარ.

აი ორიგინალურ-მხატვრულად წარმოგიდგინა თავი სსიპ ჯამბულ წურწუმისას სახელობის ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელმა ეთერ სააკაშვილმა. ჩვენ კი მისი პოეზიის რამდენიმე ნიმუშს წარმოგიდგენთ.

პოეზიას უნდა გავყვე ცოლად, რომანტიკა წაიყულო მზითვში, რა რთულია ხელოვანთან ყოფნა, საათებსა და ჟამს ატარებს ფიქრში. ვერ გაიგებ, რა ახარებს, რა სწყინს, მხოლოდ ლექსით ამოიცნობ მართალს. პოეტი ხომ უცნაურად ხედავს

და ამიტომ ის არავის არ ჰგავს. არ აწუხებს მატერიის ფიქრი, არც ქონა და უქონლობა სტანჯავს... ხელოვანი - სიყვარულით გიჟი უცნაური აზრები რომ დააქვს. პოეზიას გავყვებიო ცოლად, რომანტიკას გავიყობებ მზითვში, ერთხელ მზესაც უნდა ვეფეროვო, რა თქმა უნდა, ილუზიით, ფიქრში... დღემდე ასე დარჩენილა ბავშვად, სულში დარჩა უსაშველო ბინდი, არაფერი მატერიის არ სწამს, და განიცდის სიყვარულის შიმშილს... ბოლოს მიხვდა, ბევრი ფიქრის მერე, რატომ ჰქონდა მარტოობის განცდა... არაფერი არ უნდოდა ქვეყნად, ჭეშმარიტი სიყვარულის გარდა. დაიკარგა ადამეთის ბრბოში, გაირიყა, მარტო დარჩა მე-სთან. სითბო სურდა, მზესავით აქ მწველი, და გაიქცა სითბოსათვის მზესთან...

მაგ გამოხედვით, ქალაუ, გულში რად მტყორცნე ისარი, დავინყებულები მყავდი და უცებ გიცანი... ის არი... მაშინ სად გქონდა ნაოჭი, არც სევდისფერად ელაგვი, მე გამოხედვა ვიცანი, მივხვდი, კვლავ შენზე ველავდი. რა შორს იყავი მზერამდე. სულ არ მახსოვდა, მეგონა, დღეს ქალი გნახე სურათში



მე კი ის ბავშვი მეგონა... სულ დამავიწყდა, სხვისი ხარ, მე კი გრძობები გაიამბე, ქალავ, დახარე თვალეები, ქალავ, ნუ მაფორიაქებ.

დღესაც ქარია... სიყვარულის ვიგრძენ შიმშილი, ღამის უკუნი მოსდებია მინას ნიადაგ. მოდი, გეძახი, გელოდები არ ჩანხარ ისევ... არა მჯერა, რომ დაგავიანდა.

რა გაუძლებს ამ საშინელ ქაოსს, ქვეყნად მეფობს ბოროტების ჰანგი, გავუბრვივარ თვით საკუთარ თავსაც, დამფრთხალია, სადღაც გარბის ხალხი. ქართველი კი ქართველს ესვრის ტყვიას, იუდასთან ჩახუტულნი ვცეკვავთ, აქვე, ახლოს არ ინდობენ ქალებს...

სიძულვილის ზარი რატომ რეკავს?! არ შეჩერდა ერთმანეთის მტრობა, ოცდაათი ვერცხლი ისევ ფასობს, სიყვარული შორს გამდგარა ჩვენგან, ბოლმა- გესლი რატომ გვახრჩობს, ხალხო?

ყველას სახე დაუკარგავს თვისი, აირია ერი, ბერი, მღვდელი, სიხარული ჩაანაცვლა სევდამ, მე კი ისევ სულელივით ვმღერი. მინდა ყველა ილიმოდეს ირგვლივ, სიხარული კელატრებად გვენთოს, ნუ დაგვტოვებ იუდასთან ერთად, სიყვარული დაგვიბრუნე, ღმერთო!

ვერ გაგიმეტე დასავიწყებლად.. ხვალინდელ დღეზე იმედით ვცოცხლობ. თავში ათასი ჩამქსმის სიტყვა, ხვალ რა იქნება და ანდა - როგორ? გელაციციები ილუზიიდან და ღამის სივრცე დღედ იქცა ღამის, უსიყვარულოდ არ შემიძლია არც ერთი წუთით,

არც ერთი წამით... წელან ფიქრებით შეგავლე თვალი, ველარ გამოვდე ფიქრს კაუჭები, შენ ისე შორს ხარ, შენ ისე შორს ხარ და მე კი მაინც გებლაუჭები...

სიტყვა ეძლევა „თამარიონს“

„მოყვარის გული მთელდება“



ბუნებაში ერთნაირად დამუხტული ნაწილაკები განიზიდება, მაგრამ განგებამ ჩვენთვის, კაცობრიობისთვის ერთობ სასიკეთო ასეთი „უცნაურობაც“ მოგვივლინა: ერთი შემართებით, ერთი მრწამსით, ერთი იდეით დამუხტულ, გულანთებულ ადამიანებს აღუღაბებს, ერთ სულ და ერთ ხორცად აქცევს და ისე მიჰყავს საერთო მიზნისკენ, დიდებული ქართული სიტყვა ერთსულოვნება რომ გამოხატავს.



სწორედ ასეა თბილისის კერძო სკოლა „თამარიონში“, რომელსაც სათავეში განათლების დარგის მრავალნაწიდი მუშაკი და ჭეშმარიტი ქართველი, ქალბატონი გულნარა კვიციანი უდგას. ნათქვამია, ფერი ფერსაო და მადლი ღმერთსაო. „თამარიონში“ ყოველ პედაგოგს, ყოველ მუ-



შაკს ძირისძირობამდე აქვს გაცნობიერებული დიდი მისია სამშობლოსათვის მცოდნე, ზნერული თაობების აღზრდა რომ ჰქვია და მართლაც ერთსულოვნად დრენიად იღვწიან ამ დიადი მისიის აღსასრულებლად. ბიბლიით, სამშობლო იქიდან დაიწყო, საცა პირველი წინაპარი დამარხა. ამ საფლავმა დააბა ადგილზე ადმიანი, ამუშავა და ლოცვად დააყუდა. და სწორედ სამშობლოს მადლისა და მის წინაშე მოვალეობებს, წინაპართა აუნონელი ღვანლის გასიგრძე-

განება-დაფასების სულისკვეთებით, ყოველივე ქართულის მოფრთხილება-მოსათუთებით ზრდიან თაობებს „თამარიონში“.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის (ხელმძღვანელი – ნინო განდელიძე) თაოსნობით პანდემიის პირობებშიც კი, და ამით განპირობებული წესების სრული დაცვით, აგერ, დიდებული დედანის დღის აღმნიშვნელი როგორი კვირეული გამართეს V-XI კლასების მოსწავლეთა ჩანახატებით, პოეზიის არა ერთი საათით, კალიგრაფიის კონკურსით, მართლწერის ტესტებით...

და ეს მაშინ, როცა გველამაჟურად ებრძვიან ყოველივე ქართულს, გვირყვნიან წინაპართაგან წმიდან მოსულს, რითაც ერობს ყოველი ერი და რაც მხოლოდ მისი, განუმეორებელი და სამიზნედ ყველაზე მოწყვლადის – ბავშვების, მოზარდების, ახალგაზრდების ფსიქიკა გაიხადეს. მაგრამ ამ სიტყვას „თამარიონში“ ქართული სულით გაჯერებულ ესეთ „ქვას“ ახვედრებენ ხოლმე, რომ უსახმნოდ იფშენება და უკვალოდ ორთქლდება ყოველი



რეული. კონფერენციები თემებზე: „დედამინა გვესაუბრება, მოვუშმინოთ მას!“; „დედამინის გლობალური პრობლემები“.

გაიმართა მოსწავლეთა ნახატების, ჩანახატების, რესურსების გამოფენა, გამწვანდა ეზო...

მოკლედ მიმოვიხილოთ პანდემიის პირობებში გამართული ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები. ცხადზე უცხადესია: როცა სკოლა ამდენს ახერხებს სწავლა/სწავლების მიღმა, სასწავლო პროცესი, სირთულეების გათვალისწინებით უთუოდ უმაღლეს დონეზე წარმართება და ეს ასეცაა.

ახლა სიტყვა მივცეთ „თამარიონს“ და პირუთენულად დავრწმუნდებით, როგორი სული ზეობს სკოლაში, როგორ აზროვნებენ, რას განიცდიან მოსწავლეები.

თუ ანალიტიკურ გონებას წვეთ წყალზე დავაკვირდებით დედამინაზე ზღვებისა და ოკეანეების არსებობის წარმოსახვა ძალუძს, შემოთავაზებული რამდენიმე მაგალითი განგვაზოგადებინებს სკოლის არსსა და მრწამსს.

მამ, ასე – სიტყვა ეძლევა „თამარიონს!“

ნინო განდელიძე: „დღეს 14 აპრილია... დღეს ჩვენი ერი დედაენის დღეს ზეიმობს და ჩვენც, ქართული ენის უდიდესი გულშემატკივრები, ქართული ენის ფესვებზე ამოზრდილი შტოები, ვუერთდებით ამ ღირსშესანიშნავ დღეს და ვეცდებით, ჩვენი ხმა შევუერთოთ მილიონთა ხმას... გვიანდა მოვეფეროთ, კიდევ ერთხელ გულში ჩავიხუტოთ ჩვენი მშობლიური ენა, მრავალჭირნახული, ბევრჯერ დაკნინებული ურიცხვ მტერთაგან, ბევრჯერ უფსკრულის პირას მდგომი, მაგრამ აღდგენილი, გაძლიერებული, ამაღლებული, უფლის მადლით გაჯერებული... ვაგრძნობინოთ ჩვენი გულის ძეგრა, ჩვენი სულთა უღერა... გვიანდა ქედი მოვიდრიკოთ მისი დიდებულების წინაშე... ჩვენთა და სხვათა შეცოდების გამო გვინდა



შენდობა ვთხოვოთ, თუ ვერ გავუფრთხილდით და ვერ ვუფრთხილდებით დღემდე სათანადოდ...

უნდა შევახსენოთ თითოეულ ქართველს და, უპირველესად, საკუთარ თავს, რომ ჩვენი სულიერების სათავე ჩვენსავე ენაშია, მაგრამ დღეს, ვფიქრობ, სატრაბახო არაფერი გვაქვს.

ჩვენივე გულგრილობითა და საკუთარი თავის ვერშეცნობით ქართულიც იბღალეება. გული მენურება, როცა ჟარგონებითა და ბარბაროზებით მოლაპარაკე გოგობიჭებს ვუსმენ. არადა, ათას უბედურებაში გამოტარებულ ქართულს მეტი

ყურადღება და მოფრთხილება სჭირდება. ქართული ენა ჩვენი სიმდიდრეა, სულიერი სიმდიდრე და თუ რაიმეს დავაკლებთ, ჩვენვე დაგვაკლებდა. რისთვის იღვწოდნენ ძველთაძველი ქართველები? – ეს ხომ მემკვიდრეობაა. ჩვენ კი გრძნობებთან ერთად გამოშახველობასაც ვკარგავთ და ისეთივე ღარიბი ქართულით ვმეტყველებთ, როგორც სულიერება გვაქვს. და სწორედ ეს არის ყველაზე დიდი ტკივილი ერისა...

დავესესხებით ჩვენს რომანტიკოს პოეტს გრიგოლ ორბელიანს და ზარივით გავაუფრებთ მის უკვდავ სიტყვებს:

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!“

ათასწლებელი გამოიარა ქართულმა ჯიშმა, ქართულმა სისხლმა, ქართულმა გენმა. საუკუნეები მოარღვევდა ქვესკნელს ყლორტი ქართლოსისა, სისხლი იბერიისა და ასე ვაგრძელებდა მანამ, სანამ სამყარო იარსებებს, რადგან გვჯერა,



რომ ღვთითურთხეულ ქვეყანასა და ღმერთების ენას გადაშენება არ უწერია...“

დროა სამყარო უკეთესად ვაქტივოთ!

ჩანახატი

პანდემია, თუ ღვთის მიერ მოვლენილი განსაცდელი? ამ კითხვამ განსაკუთრებული აქ-

ტუალურობა მას შემდეგ შეიძინა, რაც კოვიდ-19 ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ კატასტროფად მოედო მსოფლიოს და მომაკვდინებელი ვირუსი მუდმივი განხილვის მთავარ თემად იქცა. ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალნაირი აზრი



გამოითქმება და, სშირად, არაკომპეტენტური ხალხის უსაფუძვლო ვარაუდებზე დამყარებული თეორიები და პროფესიონალი მეცნიერების რეალური აღმოჩენები უპირიპირდება ერთმანეთს. თუმცა, ფაქტი ერთია: ვირუსი ის უხილავი მტერია, რომლის წინაშეც მსოფლიო ერთიანდება და გადარჩენისთვის აქტიურად



იბრძვის. ინფექციურმა დაავადებამ დროის მანძილზე დაუფრებელი პროგრესირება განიცადა და გზად უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. გავრცელების უშრეტეი წყაროები, სამყაროსადმი მიყენებული ზიანის სიმძაფრე და

პანდემიის სავალალო შედეგები ბადებს აზრს საზოგადოებაში, რომ ვირუსი ღვთის ერთგვარი გაფრთხილებაა, რომელმაც ჩვენი ყოფა სამუდამოდ უკეთესობისკენ უნდა შეცვალოს. საზოგადოების ნაწილი არ ემზრობა ამ აზრს და

გავრძელება მე-7 გვ.

სიტყვა ეძღება „თამარიონს“

მე-6 გვერდიდან



პლანეტაზე გაბატონებულ სენს მხოლოდ პანდემიად მიიჩნევენ; მეორე ნაწილი კი საკითხს მეტად უღრმავდება და უფლის მიერ მოვლენილ სასჯელში საკუთარი ცხოვრების რადიკალურად შეცვლის მოტივს სახავს.

კოვიდ-19 სქესის, ასაკის, კანის ფერისა და რანგის განურჩევლად თითოეულ ჩვენგანს მეტად მტკივნეულად შეეხო. იგი ადამიანთა იზოლაციისა და კედლებს შორის თვეობით გამომწყვდევის მიზეზი გახდა, მან ათასობით ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე, დააქცია წამყვანი ქვეყნების ეკონომიკა, ნაფლეთებდა აქცია მათი დიდება და უამრავი ურთიერთობის განწყვეტისა და სოციალური დისტანცირების საბაზი გახდა. თუმცა, ასეთ საზარელ მოვლენასაც კი, როგორც კორონა ვირუსის პანდემიას, აქვს მეორე, დადებითი მხარე. გარდა იმისა, რომ ამ პროცესმა უზრუნველყო პლანეტის ეკოლოგიური განმეორება, მან ასევე მისცა ადამიანებს ცხოვრების გიჟური რიტმისგან დროებით დასვენების, საკუთარ თავთან და ოჯახის წევრებთან მეტი დროის გატარებისა და დაახლოების საშუალება. მან გვაჩუქა უნიკალური შესაძლებლობა დავაღწიოთ თავი რუტინას, რომელსაც ავტომატურ, გაუაზრებელ და მოსაწყენ ქმედებამდე მივყავართ და აღმოვაჩინოთ, შევიცნოთ საკუთარი თავი, რომელიც მუდამ სავესა ახალი შესაძლებლობებითა და სიურპრიზებით. სწორედ იმიტომ, რომ პანდემია გვეხმარება ნათლად აღვიქვათ და დავაფასოთ ჩვენი სიცოცხლე ამ კედლებს მიღმა

და გვიჩვენს სურვილს, მეტად სათუთად მოვეპყროთ გარემოს, რომელშიც ვცხოვრობთ. მგონია, რომ დროა სამყარო უკეთესად ვაქციოთ.

ამრიგად, კატასტროფის წინაშე მდგომი სამყარო ებრძვის პანდემიას, რომელიც უმიზეზოდ არ მოვლენილა და მისი, როგორც გაფრთხილების დანახვა, ნამდვილად დაგვეხმარება ღირებულებების გადაფასებასა და გაერთიანებაში, ვირუსის დამარცხებისა და ახალი მიზნებით ძველი ცხოვრების, რაც შეიძლება, მალე დაბრუნებაში.

ქათა კოვზირიკა,

XII კლასის მოსწავლე

ვირტუალური კავშირი ვერაფრით შეედრება

ჩანახატი

თვეების წინ, მაშინ, როცა ჩემი ჩვეულებრივი ყოველდღიურობა, თურმე, სრულებით არაორდინალური ყოფილა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველასათვის საძულველი ორშაბათის კვლავ დადგომისას, მალეძარა ჩვეულებისამებრ შეიქმნა საათსა და თხუთმეტ წუთზე დარეკავდა, თუმცა, როგორც ყოველთვის, ამ შემანუხებელი მექანიზმის გულისგამანვრილებელი ფლერადობა მაინც არასაკმარისად მძლავრი აღმოჩნდებოდა ხოლმე სიზმრების მისატოვებლად და საწოლიდან დროულად ასადგომად. ამიტომ მხოლოდ მოგვიანებით გაღვიძებული, დაგვიანების შიშით, ჩვეულებრივთან შედარებით ნახევარ დროში მოვემზადებოდი, მოვუყრიდი თავს საკუთარ ნივთებს და მაინც მივუსწრებდი ავტობუსს, რომლის გრძელი სელაგეზიც შესაძლებლობას მომცემდა გადავკარგულიყავი ფიქრებში მანამ, სანამ მათგან ნაცნობი გაჩერებისა და სკოლისკენ მიმავალი გზის დანახვა დამისხნიდა.

ტრადიციისამებრ თუ მივყვებით, დანამდვილებით გეტყვით, რომ საკლასო ოთახში შესული, მომლიმარი სახეებისა და მონარჯვებული წიგნების ხილვის, გაკვეთილის დაწყებამდე წარმოქმნილ ფუსუსში მონაწილეობა

ბისა და მეგობრების გარემოცვით ტკობის შემდეგ აუცილებლად შევიგრძნობდი ცვლილებებს განწყობაში, ვინაიდან საყვარელ ადგილას მისვლამდე განცდილი გრძობები თბილი ემოციებით გავსებულ კლასში შესვლისთანავე უმნიშვნელო ხდება, რადგან, როგორც პანდემიამ ცხადყო, რომ სკოლა, რომელიც ჩვენი დღის ნახევარს იკავებს, დილაადრიან გაღვიძებასა და მუდმივ მეცადინეობას გვაიძულებს, სწორედ ის ადგილია, სადაც ყველაზე მეტ სიხარულსა და დადებით ენერჯის ვიღებთ; თურმე, ჩვენი საყვარელი ადამიანების უმეტესობა სწორედ დერეფანში იყრის თავს და ჩვენ თვითონაც იქ იმაზე ბევრად ბედნიერად ვატარებთ დროს, ვიდრე სახლში, სადაც მისვლა სტრესული დღის შემდეგ ყველას ასე მიგვიჩქაროდა.

თუმცა, მას შემდეგ, რაც ყველასათვის წარმოუდგენელი გლობალური პრობლემა – მსოფლიო პანდემია ჩვენს უხილავ მტრად იქცა და ვირუსულმა ინფექციამ დედამიწა დაიპყრო, აღმოჩნდა, რომ ოთხი კედელი, რომელშიც დღეების გატარება ჩვენი პირდაპირი მოვალეობა გახდა, სულაც არაა ისეთი მიმზიდველი, როგორც ყოველი დატვირთული დღის ბოლოს გვეჩვენებოდა. ადამიანები ნოსტალგიურები იმ წერილმანების მიმართ რომ გაცხდით, რომლებიც შემზარავი ვირუსის გავრცელებამდე აზრადაც არ მოგვივიდოდა, ნათელი გახდა, რომ მაშინაც კი, როცა მივიჩნევთ, რომ ბოლომდე ვიზიარებთ ჩვენი შესაძლებლობების ჭეშმარიტ ფასს, სიზარმაცითა თუ გადაღლილობით დაბრმავებულნი მაინც ვერ აღვიქვამთ იმ დეტალების მნიშვნელობას, რომელიც, თურმე, ჩვენი ყოველდღიურობის მთავარი პოზიტივია.

ახლა კი, როცა ამგვარი წერილმანების გარეშე, სკოლიდან მოშორებით, მხოლოდ საკუთარი სახლის საზღვრებში გატარებული დღეები მოსაწყენ რუტინად იქცა, უსაზღვროდ მენატრება ურთიერთობები, რომლებსაც დისტანციური სწავლება ვერ შემიცვლის. მენატრება ჩემი პატარა მეგობრები, რომელსაც დიდი და ტყვადი მაგია ვერაფრით ანაცვლებს.

მენატრებიან ადამიანები ეკრანს მიღმა, რომლებიც ჩემს საკლასო ოთახში იყრიდნენ თავს და რეალური კონტაქტები, რომელთაც ვირტუალური კავშირი ვერაფრით შეედრება.

ქათა კოვზირიკა,

XII კლასის მოსწავლე

მე რომ ქართულის მასწავლებელი ვიქნები

ჩანახატი

მე რომ ქართულის მასწავლებელი ვიქნები... ვამბობ ჩემთვის და ფიქრებში სამომავლო გეგმების დანახვას ვინყებ... ვფიქრობ, ისეთი ვიქნები... ასეთი ვიქნები... ამას ვისწავლი.. ასე ვისწავლი... ჯერ ჩავაბარებ... მერე იქ ვიმუშავებ...

და რას გააკეთებ, როცა იქნები? – გადმომძახა ქართველი მწერლების ათობით გადადებულმა წიგნმა.

- ჰო, ნეტა რას გააკეთებ? – მარცხნივ გავიხედე და ქართულის თემებში დაშვებულმა გრამატიკულმა შეცდომებმა სიცილი დაიწყა.

- რამის შეცვლა მაინც შეგიძლოს! – აჭრიალდა ჩემს მოზილურ ტელეფონში ლათინური ასოებით დაბეჭდილი ათასობით



შეტყობინება.

გაგზარაზდი, ველარ მოვითმინე ასეთი ირონია და... დავიწყე: ძალიან მინდა და ვიქნები! ჯერ მე ვისწავლი, შემდეგ კი მათაც ვასწავლი... ვაჩვენებ, რომ ძალიან ლამაზია ქართული ენა... ვეტყვი, რომ, თუ ქართველი ხარ, უნდა იცოდეს, უნდა იკითხო, უნდა ისწავლოს, უნდა შეიცნოს ჩვენი სამყარო და, როცა მის სიღრმეებში შეაბიჯებ, უკან დასაბრუნებელი

გზის პოვნა აღარ მოგიწდება. ვასწავლი, რომ ქართული ენა ფილოსოფიაა, მისი ისტორია კი – კიდევ ერთი სასწაული. რამდენს გაუძლო, როგორ გაუძლო – კიდევ უფრო საკვირველი... ვეტყვი, რომ დედაენის პირველ ფურცლებშივე შეიძლება საოცარი ესთეტიკის შეგრძნება; იმასაც ვეტყვი, რომ ისინიც იპოვიან საკუთარ თინათინსა და ნესტან-დარეჯანს, ან ავთანდილსა და ტარიელს; ხშირად გადააწყდებიან ტრაგედიებს უგმიროდ და ბევრჯერ გაუჩნდებათ სურვილი, გახდნენ ჩოხელის გამიხარდაი... საბოლოოდ კი აფუხსნი, რომ ყოველდღე ბოდიში გვაქვს მოსახდელი ქართული ენისთვის, იმდენს ვუშავებთ და იმდენს ვაშავებთ; ბოლოს მიხვდებიან, ისე შეუყვარდებით, ყველგან იმას იტყვიან, ქართველი ვარო! სიყვარულით ნაიკითხავენ ყველაფერს ქართულს და დააფასებენ. ბოლოს კი ჩემსავით იტყვიან:

- აი, მე რომ ქართულის მასწავლებელი ვიქნები...

ოლონდ, ჯერ მე ვისწავლი, შემდეგ კი მათაც ვასწავლი... ჩემთვის ყოველი დღე ქართული ენის დღე იქნება და ჩემში ყოველდღიურად განმეორდება 14 აპრილი...

თაკო ჩხატინი,

XII კლასის მოსწავლე

P. S. „გასრულდა ესე ამბავი?“ არა და არა! ზემომოხმობილი მხოლოდ და მხოლოდ ნაპერწკლებია იმ დიდი ჩაუქრობელი კოცონისა ყმანვილების მცოდნე, სამშობლოს მოყვარულ პიროვნებებად დასვლინებულად რომ ბრდღვიალებს „თამარიონში“.

გული სიამითა და სიამაყით ივსება – გვყავს ჭეშმარიტი პედაგოგები, მოსწავლეების ჭეშმარიტი აღმზრდელ-დამრიგებლები. ჰოდა, აუცილებლად „დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“, – აუცილებლად ეღირსება ლუხუმს ლამარის გორზე შედგომა და ვაჟასავე სიტყვებით დავასრულებ: „მტრისთვის ეს ხოლვერა იყო, მოყვარის გული მთელდება“.

კონსტანტინე გურგენიკა

ლექსია სკიტაპი სულის აშოკახილი

მიხეილ აქიმიშვილი

მოგონება

გული ნურავის დასწყდება, ვინც მოკვდა, იყო აღარა, ვინც დარჩა, მათი ტოლები, არც მათ დაინდობს ჭალარა.

მინდა სუყველამ იცოდეს, ამ ჩვენი სოფლის შვილები, ჯანლონით სავსე კაცები, შრომაში გამოზრდილები.

სუყველამ უნდა გაიცნოს, ჩვენი სოფლისა შვილები, მტერს ვაუკაცურად ებრძოდნენ, არ შეირცხვინეს პირები.

მათი სახელის ხსენება, მამულისათვის - ნუგეში, ვინც გამოზარდა სამშობლომ, ვაუკაცი თავის უბეში.

ალექსი იყო მჭედლიძე, დაბალ-დაბალი ვაჟია, მშრომელი კუნთებ მაგარი, ისეთი როგორც კაჟია.

ვანია მშვენიერიძე, კლუბ-სამკითხველოს მართავდა, ვის სურდა ძალის გამოცდა, შეჯიბრსაც გაუმართავდა.

პაველ კი ფშავლიანთი, მათურელ იყო გვარადა, კლდის ვეფხვი იყო პირდაპირ, სისწრაფე ჰქონდა ფარადა.

გიგო კი ჩონქარას ბიჭი, აქიმთ ივანეს გვარისა, გულრკინა იყო უდრეკი, არ ემინოდა ჯარისა.

სამ-სამი ზამთარაშვილი, ნიკო, რაჟდენი, გოგია, ფრონტიდან ველარ დაბრუნდნენ, სამივე ერთურთის მჯობნია.

სამიცა სისოშვილები, პეტრე, დიდი და პატარა, ვასოცა მათი მოგვარე, ომის ქარცეცხლმა დაფარა.

ომმა არავინ დაინდო, არც ვახტანგი და გოგია, დორეულების გვარისა, ორი ერთურთის მჯობნია.

ზურაბთ სოფელმა გაგზავნა, ექვსი ზურაბის შვილი, სამი ძმა იყო მათ შორის, ზურაბთ ზაქარას შვილი.

იოსები და შალიკო, ხეთისოც იმათთან ზრდილიო, ივანეთ ზურაბი იყო, საწყობში გამოზრდილიო.

წვევამდებლები წავიდნენ, თათარა ხოკროს შვილიო, ივანე ოლას დედისგან, თამამად გამოზრდილიო.

ზურაბთა ჰყავდათ ზესიძე, კოფი გაბიტას-შვილიო, ვერც ის დაბრუნდა ომიდან, ცოლშვილი დარჩა წვრილიო.

ვეძათხველები გახსოვდეთ, ვაჟკაცი ერთი წყვილიო, ჩეკურიშვილი პეტრე და ვიქტორი ხოჯაშვილიო.

აქ შრომით დაღალულებმა, ომშიც დაიდეს წილიო, დანარჩენნიც ვერ დაბრუნდნენ, ერგოთ მუდმივი ძილიო.

ქართველი დედის გაზრდილნი, ნახვედით, გაქრით სადაო?! თქვენი ტანჯული სულელები, ალბათ, ავიდნენ ცადაო.

რომ ჩამოდგება მათი, მოჭარბდებიან ფიქრები, ბუნება მუდამ ახლდება, ჩვენც წავალთ, აღარ ვიქნებით!

ლექსი მოგვანოდა ზიგფრიდ ღორაქულა

ცამ ქუხილი დაიწყო!



დაიწყო, მაშ, რა იზამდა, როცა ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის თბილისის ხელოვნების მე-19 სკოლის ჩასაბერ ინსტრუმენტთა ორკესტრმა ბიგ-ბენდმა-19-მა ისე დააგუგუნა იუნესკოს ეგიდით ონლაინ-რეჟიმში გამართულ მსოფლიო ფესტივალ-კონკურსზე, რომ 37 სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან შემდგარმა უკომპეტენტურესმა ჟიურიმ ერთხმად მიანიჭა უმაღლესი ჯილდო — გრან-პრი! ორკესტრის დირიჟორი, ბატონი სერგო ტყაბლაძე სწორედ ზემოხსენებულ ჟიურის შეიყვანა, ხოლო — მას და სკოლის დირექტორს, ბატონ თამაზ მოლაშვილს, ორკესტრის ჩამოყალიბება-შემოქმედებით ზრდაში განუწილი უდიდესი დამსახურებისათვის იუნესკოს დიპლომები მიენიჭათ.

ჩასაბერ ინსტრუმენტთა ორკესტრი საქართველოში უნიკალური, ერთადერთია. იცვლებოდნენ თაობები და, ვინ მოთვლის, ათწლეულების მანძილზე რამდენი საერთაშორისო ჯილდო დაუმსახურებია მას, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვით სკოლის პედაგოგებს.

სიპზე ნერგს ვერ ახარებ, ვერც შენობას ააგებ სახურ-

ავიდან და ორკესტრის წლით-წლითი დიდი წარმატებების მესაძირკვლენი, აგერ, იუნესკოს გრან-პრი რომ დაიდგა გვირგვინად, მე-19 სკოლის პედაგოგები, ვინც სულსა და გულს აქსოვენ ყმანვილებთან მუშაობაში: არჩილ ბაკურაძე, ემზარ გვარამაძე, თამაზ ბერიანიშვილი, ომარ კოშიტაძე, მარინა ჩხოვაძე, ნუგზარ გენაძე, გულნაზ ქელიძე, ელენე ქელიძე, ნუგზარ გაბედავა, მერაბ მეტრეველი, დოდო ჯირკველიშვილი, თეიმურაზ გვარამაძე, ემზარ ადუნიშვილი არიან.

სკოლას ჩასაბერ ინსტრუმენტთა გოგონათა ორკესტრიც ჰყავს. მას კომპოზიტორი ალექსანდრე მწარიაშვილი დირიჟორობს. სავარაუდოდ, ეს კოლექტივიც მალე წარსდგება მუსიკის მნიშვნელოვან ფორუმზე და, გვჯერა, უთუოდ კვლავაც ისახელებს თავს. დიდია ბატონი ალექსანდრეს დამსახურებაც სკოლის ზემოთნათქვამ კიდევ ერთ უდიდეს წარმატებაში.

ბატონი სერგო ტყაბლაძე ღირსეულად განაგრძობს ოჯახის ტრადიციას: მისი მამა, ბატონი ლეო ტყაბლაძე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი გახლდათ და ჩასაბერ სასულე

საკრავებზე შემსრულებელთა აღზრდას მიუძღვნა მთელი შეგნებული ცხოვრება. ბატონი სერგო ხელოვნების რამდენიმე სკოლაში მოღვაწეობს და მთელ ძალისხმევას ჩასაბერ ინსტრუმენტებზე შემსრულებელთა დეფიციტის შემცივრებისკენ მიმართავს. მისი ქალიშვილი თამარი კი ერთობ ნიჭიერი მევიოლინეა და ამჟამად ინგლისში იმალღებს მუსიკალურ განათლებას.

ნათქვამია, მარტო კაცი ქამაშიც ბრალიაო. სკოლას,

თუ არსებულ ვითარებასაც გავითვალისწინებთ, ძალზე გაუჭირდებოდა ასეთი ორკესტრების ჩამოყალიბება კი — მხოლოდ ინსტრუმენტების ფასების გამოც — რომ არა გულისხმიერება და დახმარება. ძალზე ემადლიერებიან ფონდ „იანანას“ და მის თავმჯდომარეს, ქალბატონ თეა ჯორბენაძეს, ვინც მუდამ ერთგულად უდგას სკოლას მხარში.

დიდია პიროვნების როლი რა გინდა და რა საქმეში. ამიტომ დასანახი და დასაფა-


სებელია ხელოვნების მე-19 სკოლის დირექტორის, ცნობილი პიროვნებისა და დიდებული პედაგოგ-ორგანიზატორის ბატონი თამაზ მოლაშვილის ღვაწლი სკოლის მრავალხერხულ წარმატებაში.

გვჯერა, ასეთი შემოქმედებითი, საქმეზე თავდადებული პედაგოგთა კოლექტივის აღსაზრდელები უდიდესი წარმატებებით კიდევ მრავალჯერ დააქუხებენ ცას...

ეკატერინა გურბენიკა



რეკლამა



სიასლე ლიტერატურაში
ღირსეული ადამიანებისადმი მიძღვნილი წიგნების დოკუმენტური სერიალი

„პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ გეყოს შენ და დღე-

გრძელ იყო ქვეყანასა ზედა“
(მეხუთე მცნება)

თქვენს წინაშეა დოკუმენტური მასალებისაგან შედგენილი სამაგალითო წიგნი „ღირსეული კაცის დიდი გზა“, რომელიც მიედგინა ბატონ შალვა ჯალაღონიას, ადამიანს, რომელმაც მთელი ცხოვრება შრომაში, პატიოსნებაში, ღმრთისა და მოყვასისადმი სიყვარულსა და ერთგულებაში გაატარა.

ვისაც სურვილი გაქვთ თქვენს ოჯახზე, ღირსეულ წინაპრებზე ანალოგიური სახის წიგნი ან ჟურნალი მომზადდეს და გამოიცეს, დაგვიკავშირდით: 5 99 343 727; (032) 2 98 48 07.

ოპტიმისტური სიმღერა ავსტრალიაში



გალიდან — ოჩამჩირემდე

გალიდან — ოჩამჩირემდე, ოჩამჩირიდან — გალამდე, უნდა წერდე და ხატავდე, თუნდაც წერაში გათავდე.

ყველაფერს, რასაც კი თვალით ნახავ და მოგეწონება, ოცნება, გულს რომ მიკლავდი, ეხლა გულს მოგეფონება.

ბევრი ადგილი მინახავს წარინჯოვ-ნაზურმუხტალი, აფხაზეთში კი ვინც ცხოვრობს, ნამდვილად, არის უკვდავი.

ყველაფერს მწვანე ელფერი დაჰკრავს და ცაში ბრიალებს, ყველას ძმებვით გეხვევით, გულსაც ეს ძმობა მიხარებს.

ერთი პოეტი ბიჭი ვარ, ფიქრით გავლიე ცხოვრება, გზის პირად მდგარი ფიჭვი ვარ, ზაფხულში ყველას ცხონება.

ჩემი ტოტების იმედი ღმერთმა ნუ გამიფერმკრთალოს, მე თქვენთან მიტომ მოვედი, მოყვრობის ნერგმა იხაროს.

გალიდან — ოჩამჩირემდე, ოჩამჩირიდან — გალამდე, უნდა წერდე და ხატავდე, თუნდაც წერაში გათავდე.

ზურაბ მაგულაშვილი
1988 წ.

რითმიანი ლექსის ჰაზარი

ანგელოზების ფრთების სადარი

პოეზიასთან შეკვრას რომ იწყებ, ნიჭიც თან გახლავს თავაზიანი, გახსოვდეს მამინ ნუ დაივიწყებ, რითმაა ლექსის თანაზიარი.

შენს ნაფიქრ ნაგრძნობს თეთრ ლექსს რომ არქმევ, თუ ლექსი არის, რითმა სად არის? მუზა სად არის გასაოცარი, ანგელოზების ფრთების სადარი?

რა გაეწყობა, ასეთი არის, ზოგის აზრი და ზოგის ნადილი ჩემი აზრით ლექსს რითმები შვენის, როგორც პატარძალს თეთრი მანდილი.

როგორც მიდამოს თოვლის საფარი მთას ეკლესია დაშენებული, მაგრამ ლექსები? ლექსი კი არის, ფერად რითმებით დამშვენებული.

ზოგივით მტკვარი დინჯი და წყნარი, ზოგი თერგივით გიჟმაჟი, ჩქარი, და სალალობოდ ფრთებაწყობილი ცადატყორცნილი რითმთა ლაშქარი.



სიბერე

ვუძღვნი ყველა ხანდაზმულს

მე მიხარია ბებია რომ ხარ, მემამყება ჩემი სიბერეც, სიბერე უფლის ჯილდოა, უთქვამთ. და ამ ბრძნულ ნათქვამს ყველა იჯერებს.

რადგან მართლა ღირს სიბერე იმად, გაზრდილებისთვის კვლავ ირჯებოდე, შესცივინებდე შენ შვილთაშვილებს და მათ ალერსში თავლად დნებოდე.

ნუნუ-ლონდა ჭიკვილი

რატომ არის მე-14 სკოლა წარმატებული?

აქ პროფესიონალები მოღვაწეობენ



ბევრჯერ ვყოფილვარ ამ ტრადიციულად მოწინავე სკოლაში, რომელიც აღმავლობის გზაზე იდგა. ყოველი ახალი დირექტორი წარმატების ახალ საფეხურს ქმნიდა. როგორ შეიძლება დავივინყო სკოლის ამგვარი, თუნდაც: **ზურაბ ქარაძე, ზვიად მიმინოშვილი** და მათი წინამორბედები. სკოლის ისტორიის შექმნა თქვენი საქმეა, თუ თქვენს კოლეგას, ან განსვენებულ **რომან მოსევილს** მიბაძავთ. მან ხომ **ჰამლეტ ჩხენკელთან** ერთად მშვენიერი წიგნი უძღვნა მშობლიურ სკოლას სახელწოდებით **„თბილისის მე-11 გუმბა, დღეს, რა იქნება ხვალ?“**

ახალგაზრდა ნიჭიერი დირექტორის **მაკა გიორგაძის** მოსვლის შემდეგ სკოლის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო. ყველგან ასეა: სკოლა ისეთი რთული ორგანიზაციაა, ყოველთვის დადგება ხოლმე იგი ახალი გამოწვევების წინაშე. თუმცა, ახლა რომ ვითარებაა, ისეთი არასოდეს ყოფილა. „გულითა გაუტყუელი და მოუღალავი მკლავითა“ პედაგოგები **მაკა გიორგაძისა** და მისი მოადგილის **მაია ლომიძის** ხელმძღვანელობით არ შეუშინდნენ პანდემიას, „ჭირს მიუხდნენ მამაცურად“. ამ თემაზე გვექნება ქვემოთ მოკლედ საუბარი. ე. ი. როგორ გაართვეს თავი დისტანციურ სწავლებას და როგორ შეინარჩუნეს დასწრებული, ჩვეულ, ბუნებრივ რეჟიმში მეცადინეობის დინამიკა. უფრო მეტიც, ბევრ შემთხვევაში კლასგარე-

უმე მუშაობაში მოსწავლეეთა ჩართულობებიც განახორციელეს.

დისტანციური სწავლების პერიოდში მასწავლებლებმა შეძლეს ონლაინ პლატფორმების წარმატებით გამოყენება. სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი რესურსების შექმნა და გაზიარება.

საკოორდინაციო საბჭოს გადამწყვეტილებით ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით 2021 წლის 15 თებერვლიდან სსიპ ქალაქ თბილისის 14-ე საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი გაგრძელდა საკლასო ოთახებში. სკოლა აღიჭურვა ხელის სადებიზინფექციო საშუალებებით და სიცხის საზომი ხელსაწყოებით. (თერმომეტრებით) თვალსაჩინო ადგილას გამოიკრა ვირუსის შესახებ საინფორმაციო და საპრევენციო ხასიათის პოსტერები. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია დეზობარიერი, გამოიკრა დეზობარიერის მანიშნებელი სტიკერი. ხოლო საპირფარეოებში აღიჭურვა ერთჯერადი ხელსახოცებით, დახურული ურნითა და თხევადი სასაბუნე მონოციკლინებით. სველი წერტილები სასწავლო პროცესის მსვლელობის დროს და ყველა დასვენების შემდეგ ლაგდება და ხორციელდება დეზინფიცირება.

სასწავლო პროცესი ორ ცვლაშია და სწავლის დაწყებამდე მიმდინარეობს თერმოსკრინინგი. 1-4 კლასის მოსწავლეების გარდა სკოლის შენობაში ყველა გადაადგილდება პირბადით. ასევე ყველა საკლასო-სადამრიგებლო ოთახებში განლაგდა დახურული ურნა და ხელის სადებიზინფექციო სითხე. საკლასო ოთახები დღის განმავლობაში რამდენჯერმე ნიავდება.

დამრიგებლები არიან: 1¹ კლასისა - **როზა ჭყუია**,

მაზე „გაზაფხული შემოსულა, ლენ“ და აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მოეწყო ნახატების გამოფენა. 1-დან 9 კლასის ჩათვლით პედაგოგ **ნანა თევზაძის** ორგანიზებით მოეწყო ონლაინ, საკლასო და სასკოლო გამოფენები, თემამზე: „მოგზაურობა წყალქვეშა სამყაროში“. „ზოოპარკის ბინადარი“, „დედის დღე“, „შობა“ და ა.შ. სკოლაში მოეწყო 6¹ კლასის მოსწავლის **ელენე კვარიაშვილის** და 9¹ კლასელი **ანა ოსეფიაშვილი** პერსონალური ნახატების გამოფენა.

7-10 კლასებში ონლაინ პრეზენტაციებით, პოსტერებით და ჩანახატებით ჩატარდა საკლასო პროექტები, თემამზე: „ჩემი უფლებები“, „საგზაო ნიშნები“, „ადამინი და თავისუფლება“, „ნიგნი და კომპიუტერი“, „ტრეფიკინგი“, „რასობრივი დისკრიმინაცია“ და „ბავშვთა უფლებები“ (პედაგოგი - **ნუნუ ალუღიშვილი**)

ძალადობის კვირეულის ფარგლებში 8-9 კლასის მოსწავლეებმა იმუშავეს პროექტზე: „არა ძალადობა“, „ნადარევი ქორწინება“ და „სიყვარულით და ერთმანეთზე ზრუნვით ჩვენ ყველა პრობლემას ვამარცხებთ“. მე-7 კლასის მოსწავლეებში ჩატარდა საუბრები ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ

„რატომ უნდა ვიცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრებით“. ასევე დედამიწის დღესთან დაკავშირებით 8-9 კლასებში ჩატარდა გაკვეთილი თემაზე „დედამიწის საერთაშორისო დღე“. — (პედაგოგი თეა ნიკოლეიშვილი)

სკოლის კლუბი „მომავლის სხივი“ — (პედაგოგი **ნუნუ ალუღიშვილი**) იმუშავეს შემდეგ საკლუბო პროექტებზე: „ფემინიზმი“, „კიბერბულინგი“, „ყალბი ახალი ამბები“. „დედამიწის საფრთხეშია“ და „პანდემიები და მსოფლიო“ — (დედამიწის



დღესთან დაკავშირებით) სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში, წელს მესამე ტურში (ფრანგული ენა) გადავიდა მე-11 კლასელი **ნიკოლოზ თევზაძე**.


ასევე მონაწილეობას ვიღებთ კინგის, კენგურუს, სმარტის ოლიმპიადაშიც.

წელს სკოლაში ჩატარდა PISA-2022 კვლევა, მონაწილეობა მიიღო 43 მოსწავლემ (10 კლასი), ასევე მონაწილეობას ვიღებთ PIRLS-2021 კვლევაშიც, რომელიც განკუთვნილია სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეებისათვის.

მარშალ გამოფენით 8 ოქროსა და 3 ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე.

14-ე საჯარო სკოლაში 49 პედაგოგი. 5 წამყვანი სტატუსის მქონე პედაგოგია, ექვნი არიან: **დარეჯან კობლაძე, ნათია იმრუაშვილი, ქრისტინე კამლაძე, ია ქოსაშვილი** და **შორენა სამაკაშვილი**. დანარჩენი 44 კი უფროსი პედაგოგია.

აბა, ნახეთ მეგობრებო, ასეთ მუხ-



დღესთან დაკავშირებით 8-9 კლასებში ჩატარდა გაკვეთილი თემაზე „დედამიწის საერთაშორისო დღე“. — (პედაგოგი თეა ნიკოლეიშვილი)

სკოლის კლუბი „მომავლის სხივი“ — (პედაგოგი **ნუნუ ალუღიშვილი**) იმუშავეს შემდეგ საკლუბო პროექტებზე: „ფემინიზმი“, „კიბერბულინგი“, „ყალბი ახალი ამბები“. „დედამიწის საფრთხეშია“ და „პანდემიები და მსოფლიო“ — (დედამიწის

ლუდულ ვითარებაში რამდენი რამ შეიძლება. ასე იცის შუშპორობამ და საქმის სიყვარულმა. წინ წარმატებისაკენ, მე-14 სკოლებო!

ბორის მიშველაძე,
დამსახურებული პედაგოგი

36-ე სკოლა და სწავლების კანდემიური მეთოდიკა

„ჭირსა შიგან“ ქვიტიკირიპით არიან გამაბრებულნი



ყველა მოულოდნელობას სირთულე ახლავს: საქმეს ახლებურად, უჩვეულოდ გადაწყობა სჭირდება. ასეთი გამოწვევის წინაშე გვაყენებს და დაგვაყენებს დისტანციური სწავლება, მაგრამ ამ სკოლის პედაგოგებმა, დირექციამ, მოსწავლეებმა, მშობლებმა სინდელეებს თავი კარგად გაართვეს.

ჯერ იმით დავიწყეთ, რომ სკოლაში მოღვაწეობენ პროფესიონალი პედაგოგები. ბრძენი კაცის ნათქვამი რომ გავიხსენოთ, „კადრები წყვეტენ ყველაფერს“. მაგრამ მაინც მთავარია ნიჭიერი ხელმძღვანელი. და აი, ისიც - გამოცდილი, ერუდირებული დირექტორი **მაია კვინიკაძე**. არ შემიძლია მაიაზე ორიოდ სიტყვა არ ვთქვა: დედაქალაქის რამოდენიმე სკოლაში იმორღვანა წარმატებით პედაგოგად, კარგა ხანს ასევე მოწინავე დირექტორი იყო და ეს მდიდარი გა-

ბით, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ, ბევრი პრობლემა წარმოქმნა, თუმცა სხვადასხვა მიმართულებით შესაძლებლობებიც გააჩნია. მასწავლებლებმა შეძლეს უმოკლეს დროში, სწავლების ალტერნატიული ფორმების და მეთოდების, ტექნოლოგიების ათვისება.

განათლების სამინისტრომ დასწრებული სწავლებისთვის სრულად მოგვამარაგა დეზობარიერი, პირბადეებით, სადებიზინფექციო ხსნარით. სკოლამ შეიძინა 2000 ლარის ღირებულების სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები.

სისტემატურად მიმდინარეობს კლასების სველი წესით დამუშავება, მერხების დეზინფექცია. ბავშვების სკოლაში შესვლამდე ხდება მათი თერმოსკრინინგი.

მათემატიკური ენით რომ ვთქვათ, კათედრების კარგი მუშაობა პირდაპირპროპორციულია მაღალი შედეგებისა. აქ ასეთ შედეგებზე ორიენტირებული, ნიჭიერი ნევრები და ხელმძღვანელები გვყავს შერჩეული: დაწყებითი კათედრის გამგე - **რუსუდან მერკვილაძე**, პირველი კლასის ხელმძღვანელი - **ნატალია ყურმაშვილი**. მენეჯერი გვყავს - **მაია ჩხაიძე**. სამეურვეო

გამოცდილ დირექტორს მხარს ღირსეულად უმხვენებს ასევე გამობრძმედილი მოადგილე **ქეთევან მელიქიშვილი**, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის მშობლიური სკოლის წინაშე. ალბათ, დადგება დრო, როცა ამ სიტყვების ავტორი კობიტა სტატისა მიუძღვნის მისი ღვაწლის დაფასებას.

რედაქციაში გზამკვლევივით მივიღეთ სკოლაში გაკეთებულ-გასაკეთებელი საქმეების რეზიუმესავით დახვეწილი ცნობარი:

ახალმა რეალობამ და იძულებით, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ, ბევრი პრობლემა წარმოქმნა, თუმცა სხვადასხვა მიმართულებით შესაძლებლობებიც გააჩნია. მასწავლებლებმა შეძლეს უმოკლეს დროში, სწავლების ალტერნატიული ფორმების და მეთოდების, ტექნოლოგიების ათვისება.

მათემატიკური ენით რომ ვთქვათ, კათედრების კარგი მუშაობა პირდაპირპროპორციულია მაღალი შედეგებისა. აქ ასეთ შედეგებზე ორიენტირებული, ნიჭიერი ნევრები და ხელმძღვანელები გვყავს შერჩეული: დაწყებითი კათედრის გამგე - **რუსუდან მერკვილაძე**, პირველი კლასის ხელმძღვანელი - **ნატალია ყურმაშვილი**. მენეჯერი გვყავს - **მაია ჩხაიძე**. სამეურვეო



საბჭოს თავმჯდომარეა - **ნუნუ კაკულია**. მონდომებით მუშაობენ: ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა - **ნანა კალანაძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა - **ქეთევან მახარაბიძე**, უცხოური ენების კათედრა - **ნინო ბერულავა**, დაწყებითი კლასების კათედრა - **რუსუდან მერკვილაძე**, მათემატიკის და ტექნოლოგიების კათედრა - **ლელა ლომაძე**, საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა - **მზისაღარ ტუხიაშვილი**, სპორტის და ესთეტიკის ალზრდის კათედრა - **იამზე მეტივიშვილი**.

საბუნებისმეტყველო კათედრა გვგმავს ონლაინ კონფერენციის ჩატარებას. მოსწავლეთა ჩართულობა და აქტივობები ყველანაშ მთავარია. სამოქალაქო განათლების პედაგოგი გვგმავს დედამიწის დღესთან

დაკავშირებით პრეზენტაციას. აუტიზმთან და დაუნის სინდრომთან დაკავშირებით პრეზენტაცია უკვე ჩატარდა.

აი, ბრწყინვალე მასწავლებლები! „რა სიუხვეა, რა სიმდიდრეა!“ ჩვენი წამყვანი პედაგოგები: **მაია კვინიკაძე; ლილა ნიკოლეიშვილი; მაია ჩხაიძე; მაკა კობიაშვილი; თამარ მამულაშვილი** და სხვები ამინდს ქმნიან სკოლაში.

ეს მოკლე კომპაქტური წერილი რომ გავშალოთ, უფრო დიდი შთაბეჭდილება შეგვექმნება ამ სკოლაში მიმდინარე სასწავლო-ალმზრდელობით საქმიანობაზე. ალილო და ხვალეო! წინ ბევრი სახანავა და მერე სამკალი. უხვმოსავლიან სასწავლო წელს გისურვებთ, 36-ე სკოლებო!

ბორის ხარეკაძე



აქ პატარებისთვის უსაფრთხო გარემოა



თბილისის 182-ე ბაგა-ბაღი ვაზისუბნის დასახლების ერთ-ერთი გამორჩეული საბავშვო დაწესებულებაა. ბაღის პოპულარობა კი, ძირითადად განაპირობა წარმატებულმა სააღმზრდელო პროცესმა და პატარებისადმი შესაბამისი გარემოს შექმნამ. აქ ეზოც მონესრიგებულია და დაწესებულების შიდა ინტერიერიც თვალისმომჭრელია. ლამაზად და ესთეტიურად არის გაფორმებული საბავშვო ოთახები, დარბაზი და საძინებლები, სამზარეულო აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და ყველა საჭირო ინვენტარით.

ბაგა-ბაღს შესანიშნავი დირექტორი ჰყავს, რომელიც უპვე

მრავალი წელია მშვენივრად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას და თანამშრომლებთან ერთად, ალსაზრდელების კეთილდღეობაზე მუხლჩაუხრელად ზრუნავს.

მარინე გონაშვილი, 182 ბაგა-ბაღის დირექტორი: ბაგა-ბაღმა სრული მზადყოფნით განაახლა მუშაობას და სწავლის დაწყებას შევხვდით ჰიგიენური წესების დაცვით. პანდემიურ პირობებში, ყველაფერს ვაკეთებთ, პატარებისთვის გამართული უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. შესაბამისად, შევიმუშავეთ პანდემიის პირობებში, საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა. დავინყეთ პერსონალის და ალსაზრდელების ყოველდღიური თერმოსკრინინგი, შემოსასვლელში განვათავსეთ დეზობარიერები, დამაგრდა დისპენსერი - ანტისეპტიკური საშუალებებით, როგორც შემოსასვლელში, ასევე ჯგუფებში. ყოველდღიურად ტარდება თერმოსკრინინგი.

ამჟამად, ბაგა-ბაღში 12 სააღმზრდელო ჯგუფია და ყველაგან გათვალისწინებულია კოვიდრეკომენდაცია : დისტანციის წესების დაცვა, მაგიდების განლაგება 2 მეტრის დაშორებით, ასეთივე მანძილით გამოყოფილი

პატარების აქტივობის კუთხეები და იატაკზე სტიკერებია დაკრული. შენობაში ყველაგან კედლებზე ე. წ. მანიშნებლები და ფლაერებია გაკრული, სადაც აღნიშნულია სანიტარული რეკომენდაციები: ხელის დაბანის, და-



მუშავების, დაცემინების და დახველების დროს ქცევის წესები.

დედაქალაქის ბაგა-ბაღების სააგენტოს მხარში დგომით და



ბატონ **კახა გვანცელაძის** ძალისხმევით, აღნიშნულ საბავშვო დაწესებულებაში ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ პატარებმა თავი კომფორტულად იგრძნონ. ბაგა-ბაღი უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ინვენტარით, სათამაშოებით, ავეჯით, დეზობარიერებით, სამეურნეო და სან-ჰიგიენური საშუალებებით და ა. შ.

პანდემიის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში, განსაკუთრებით ჩართულია მულტიდისციპლინური გუნდი და თითოეულ ბავშვზე ორიენტირებული, ინდივიდუალური მიდგომით ცდილობენ სააღმზრდელო პროცესის სრულად აღდგენას. ახალი სტანდარტებია „სასკოლო მზაობის“ პროგრამაში, რომელიც მოითხოვს ინდივიდუალურ მუშაობას და სათითოდ ყველა ბავშვთან სათანადო გეგმის შემუშავებას, მიზნის დასახვას და არაორდინალურ გრაფიკში ბავშვებზე მორგებას.

ამჟამად, ბაღში 3 გამოსაშვები ჯგუფია და ალსაზრდელები სკოლისთვის უკვე მზად არიან, რაც მათი აღმზრდელების დიდი დამსახურებაა. მაღლობას იმ-



სახურებენ: მარინე ფუტყარაძე, ქეთევან მიქელთაძე, და თამარ კოპალეშვილი. მათ მხარში უდგანან თანამშემწეები: **გურანდა მღებრიშვილი, თამილა ტუგულაშვილი** და **თეა ფერაძე.** განსაკუთრებულ შექებას იმსახურებენ მეთოდისტები: **მერი ალექსანდრიანი** და **ეკატერინე გოცირიძე.**

დირექტორისა და შემოქმედებითი კოლექტივის ძალისხმევით მართლაც, რომ კოლოსალური სამუშაოები განხორციელდა და ამიტომაც არის ბაგა-ბაღი პოპულარობას რომ ინარჩუნებს და მსურველთა რიცხვიც იზრდება.

მალე დაგვემარცხებინოს პანდემია, მეგობრებო!

მზია გოგოძე

135-ე საბავშვო ბაგა-ბაღი წარმატებულია

აქ მთავარი უსაფრთხოებაა



თბილისის 135-ე საბავშვო ბაგა-ბაღში ჯანდაცვის რეკომენდაციებს უმაღლეს დონეზე იცავენ. აქ ინფრასტრუქტურა მონესრიგებულია, ეზო კი დამშვენებულია მწვანე ნარგავებითა და საბავშვო ატრაქციონებით. ასე რომ, საბავშვო დაწესებულება მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული და ეს კარგი ხელმძღვანელის და მთლიანი კოლექტივის დიდი დამსახურებაა.

თამილა ხარშილაძე 135-ე ბაგა-ბაღის დირექტორი: სააღმზრდელო პროცესის დაწყებამდე მოვახერხეთ ბაგა-ბაღში თანამშრომლების გადამზადება, რათა პანდემიის პირობებში მუშაობის აუცილებელი უნარჩვევები შეეძინათ. საგულისხმოა, რომ ზაფ-

ხულის პერიოდში თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ და **კახაბერ გვანცელაძის** ინიციატივით, მოხდა 135-ე საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა. გაკეთდა ახალი სათამაშო მოედანი და დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონები.

მნიშვნელოვანი სახსრები განხორციელდა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. დირექტორის და მისი მოადგილის **ქეთევან ყოლბაიას**, ასევე, მეთო-



დისტის **მარინე ხუციშვილის** მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით შეიქმნა ბავშვებისათვის სააღმზრდელო ჯგუფებში უსაფრთხო გარემო. შემუშავდა საერთო სივრცეებში (დარბაზი, ეზო) ბავშვების გაყვანის გრაფიკი ჯგუფებისათვის. აგრეთვე, მეთოდისტის ინიციატივით ბავშვებისათვის დაწესდა ახალი თამაშ-შეჯიბრი ხელების დაბანაში, ახალი უნარების განვითარებისთვის შეიცვალა ქცევის წესები: მეგობრებთან შეხვედრის, მისალმების და ურთიერთობისას, სახალისო თამაში სახეზე ხელის შეხებისა-


გან თავშეკავების მიზნით.

ბაგა-ბაღის ადმინისტრაცია და აღმზრდელები მშობლებთან კომუნიკაციისთვის იყენებენ ელექტრონულ საშუალებებს: მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს, ვიდეო ზარებს, პოსტერებს. ბაგა-ბაღის ეზოში მოეწყო თვალსაჩინო ნახატები თუ რომელი სააღმზრდელო ჯგუფი როგორ შემოვა ბაღში, რათა არ მოხდეს პატარების თავშეყრა დაწესებულების შესასვლელთან. ალსაზრდელები კი, დიდ დროს ატარებენ ბაღის ეზოში, სუფთა ჰაერზე.

გამოსაშვებმა ჯგუფებმა წარმატებით გაიარეს „**სასკოლო მზაობის**“ პროგრამა. დირექტორის სასწავლო სააღმზრდელო პროცესის სწორად და ხარისხიანად წარმართვაში მხარში უდგანან მოადგილე **ქეთევან ყოლბაია**, მეთოდისტი **მარინე ხუციშვილი** და მისი დამხმარე **ირმა თაბაგარი**. ცეროდენებს ემსახურება მოადგილე და თავისი საქმის პროფესიონალი ფსიქოლოგი **ვიოლეტა მახარაძე**. ბავშვების მეტყველების განვითარებაზე ზრუნავს ლოგოპედი **რუსუდან აბუსერიძე**. ბაღში სპეც პედაგოგის პოზიციაზე მუშაობენ **თამარ ბინკინაშვილი** და **ეთერ მჭედელაძე**. პატარების მუსიკალურ განათლებაზე ზრუნავენ გამოცდილი მუსიკის პედაგოგები **თამარ მორჩილაძე** და **თამარ ტალახაძე**. ალსაზრდელების ჯანმრთელობას დიდ ყურადღებას აქცევენ **ნანა არაბული** და **თამუნია ჯღარკავა**.



ბაგა ბაღში მუშაობენ თავის საქმეზე, ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული აღმზრდელები: **ნათელა მეტუკე, მედეა გაფრინდაშვილი, თამარ გორდეზიანი, ნათია სადალაშვილი, ნეტა მერაბიშვილი, ლიკა გეჯაძე, ირმა ტერაშვილი, შორენა ნიორაძე, მია სარალიძე, ნათია გელოვანიშვილი, მია ხვედელიძე, ეკა ქოიავა, სოფიკო ლომიაშვილი, ყუყუნა ფეიქრიშვილი, დარიკო დოლიძე, ქეთევან მეშველიანი, სათუნა დავაძე, დიანა გავაშელიშვილი, ნინა კარაპეტანი.** აღმზრდელებთან ერთად სააღმზრდელო ჯგუფებში პატარების



გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაზე ზრუნავენ თანამშემწეებიც: **ლეილა ჩიტიაშვილი, ელზა აბულაძე, მაია ჯაოშვილი, ნათია ონეზაშვილი, ეკა ქანაშვილი, თეა კვესიაშვილი, ნინო კაპანაძე, მაცყვალა კვესიაშვილი, ნათია ორთაწუნაშვილი-საბაძე, თინათინ ფცქიალაძე, სოფიო ხარაიშვილი, ნანა აფრიდონიძე, მანანა მამულაშვილი, დლი მიქაბერიძე, ცირა ჯამალაშვილი.**

ბავშვთა კვებასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და მათ გემრიელ საკვებს უმზადებენ გამოცდილი მზარეულები. საბავშვო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და საჭირო ინვენტარით მონარაგებაზე ზრუნავენ სამწეო ნაწილის კოორდინატორები: **თეო მაზანაშვილი, მია თავაშიაშვილი.**

დირექტორი ემყარებულია გამოქვეყნებულ ბაღის თითოეული თანამშრომლის მიმართ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბაგა-ბაღში დიდი ყურადღება ექცევა ბავშვებისათვის სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას, პატარების უსაფრთხოებას და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებას. რა თქმა უნდა, აქ პანდემიის არავის ეშინია და მალე ძველებურად გააცოცხლებს უბანს ცეროდენების ჟივილი-ხივილი.

ანანო სამელია

გამოწვევას სათანადოდ დახვდნენ

სწავლების ხარისხის სიმაღლე – ბებოზაფიულს აჯობებს



1993 წელს აშენებულ თბილისის 86-საჯარო სკოლას რა ხანია, „სული კბილებით ეჭირა“ - ავა-რიული ნაგებობა დიდ საფრთხეს უქმნიდა მოსწავლეებსა და სკოლის ყველა მუშაკს. მაგრამ შარშან — ძველი დაანგრიეს და ახალს აგებენ. მომდევნო სასწავლო წელს სკოლა ახალ, თანამედროვე სტანდარტების შესატყვის გარემოში შეხვდება: ფართო ნათელი დერეფნები და საკლასო ოთახები, ავეჯი, კომპიუტერები, ლაბორატორიები, სააქტო და სპორტული დარბაზები, ბიბლიოთეკა, სასა-ლილო.

მანამდე კი 86-ე სკოლა 96-ე საჯარო სკოლაშია შეხიზნული.

ასე კი, მაგრამ 86-ე სკოლის დირექტორის, განათლების დარგის მრავალნაწიდი, გამოცდილი მუშაკის, ქალბატონ ნანა ქაჯაიას თქმით, ხიზანობა ნამითაც არ უგრძნიათ.

ურთიერთ მხარდაჭერით, ერთობლივად ზრუნავენ უს-

აფრთხოების ყველა ზომის მაქსიმალურად დასაცავად და ასეთ რთულ ვითარებაში სწავლა/სწავლების ასევე მაქსიმალურად ხარისხიანად წარსამართავად. ამას განათლების სამინისტროს ყოველმხრივ უწყობს ხელს. თუნდაც ეს ფაქტი: მოსწავლეები, დამრიგებლების ხელმძღვანელობით, ძველ სკოლასთან იკრიბებიან და 96-ე სკოლაში სამინისტროს მიერ გამოყოფილი ტრანსპორტით ორგანიზებულად მიემართებიან. ამიტომ პირველ-მეოთხე კლასელებსაც უკეთიათ პირბადეები, ხოლო სკოლაში კი სავალდებულო დისტანცია მუდმივად დაცულია.

ქალბატონი ნანა ქაჯაია: „ძნელად სავარაუდოდ განათლების დარგის რომელიმე მუშაკი, რომ წარმოედგინა, პანდემიის პირობებში მომიწევს მუშაობაო. მაგრამ

გამონვევებისთვის შინაგანად მუდმივად მზად ვარ და, კოლექტივის მხარდაჭერით, ვუმკლავდებით კიდევ ასეთ არაორდინალურ ვითარებას.

ადაამინი მუდმივად მზად უნდა იყოს გამონვევებისათვის. თუ შინაგანად დაბალანსებული არა ხარ, ძალზე გაგიძნელებს ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევა. მით უფრო, როცა ამდენ ადამიანზე, ბავშვებზე ხარ პასუხისმგებელი. ასეთი პასუხისმგებლობა რომ გეკისრება, ყველა წინააღმდეგობის და ძლევის. შესაბამისი შინაგანი განწყობაც უნდა გქონდეს, რაც სწრაფი გადაწყვეტილების მიღების, ლაივრების უნარს გულისხმობს.“

დისტანციური სწავლება მასწავლებელსა და მოსწავლის ცოცხალ ურთიერთობას ვერ შეცვლის, მაგრამ პროფესიონალიზმი, საქმისადმი შემოქმედებ-

ითი მიდგომა, რაც 86-ე სკოლის პედაგოგებს ახასიათებთ, ის ქვაკუთხედი, რაზეც იგება მათი მუშაობა და შედეგიც, როგორც ითქვას, ვითარების გათვალისწინებით, მართლაც ძალიან კარგია.

მისასალმებელია, როცა სრულიად უცხო გამონვევას ასე ხარისხიანად უმკლავდები. ადამიანი თუ კოლექტივი ხომ სწორედ გაჭირვებაში გამოიხატება, მაგრამ ის უფრო სასიხარულოა, რომ ადამიანი, ასეთ ვითარებაშიც კი სკოლის პრობლემებზე ფიქრობს და სრულიად დასაბუთებულ აზრს აყალიბებს: ცხადია, პანდემიის შემდეგ სკოლებში დაბრუნებულ ყმაწვილებს ფსიქოლოგიური პრობლემები ექნებათ. განათლებით ფსიქოლოგი, ქალბატონი ნანა მიჩინეც, რომ ამ პრობლემებზე მსჯელობა ვერ ნაადრევია, რადგან სტრესული გარემო ვერ კვლავაცა და ასკვნის, რომ თითო ფსიქოლოგი სკოლაში, მით უფრო ასეთ გარემოში, ძალზე ცოტაა. სასურველია, ფსიქოლოგთა ჯგუფი მუშაობდეს და, თუ ეს ჯგუფი საფუძვლიანად შეისწავლის ბავშვთა მონაცემებს,



ოჯახურ გარემოს და ერთგვარად შეითავსებს სოციალური სამსახურის ფუნქციასაც, ეს პანდემიისა და „უპანდემიო“, ჩვეულებრივ ვითარებაში ძალზე შეუწყობს ხელს ყმაწვილებთან ინდივიდუალურ ეფექტურ მუშაობას.

სამიოდ წლის წინათ ვწერდი 86- სკოლაზე, მახათას მთის ძირში რომ იყო, რა კარგია, გეოგრაფიულ სიმაღლეს, სწავლების ხარისხის სიმაღლე რომ შეესატყვისებო. ახლა სკოლა „ბარში“ ჩამოვიდა, მაგრამ, პანდემიის გათვალისწინებით, სწავლების ხარისხი კვლავ სათანადო სიმაღლეზეა, ხოლო, როცა გეოგრაფიულ სიმაღლეზე დაბრუნდებიან, ეგებ, სწავლების სიმაღლემ გადააჭარბოს კიდევ – გეოგრაფიულს.

მარია მათიაშვილი-გურბენიძე

ჭუმბურიძის საზოგადოებრივი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი

პედაგოგის მუშაობის გამოწვევები

დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის მისაბაძი მუშაობა

კვლავაც - ჩვეული შეპართებით



სათანადო დარგების ფსიქოლოგები, სოციოლოგები, იურისტები თუ სხვანი, ყოველი სახელმწიფოს ჰუმანურობას, ხალხისთვის, ქვეყნისთვის ჭეშმარიტი ზრუნვის საწყაოდ იმას იმას მიიჩნევენ, თუ როგორ და რამდენად ზრუნავს სახელმწიფო საბავშვო და უპოვართა, შრომის უნარ მოკლებულთა, მიუსაფარ ბავშვთათვის.

და რადგან, სასიხარულო და მისასალმებელია, რომ არიან ადამიანები, ორგანიზაციები თუ დაწესებულებები, თავისი წვლილი შეიტანოს და ამგვარად ცდილობენ სოციალურ დაუცველობის დეფიციტის შეძლებისდაგვარად შემცირებაში.

ერთი ასეთთაგანი დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემია (რექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქალბატონი ნანა ჯიქია) თავად წამიკითხავს რექტორის სახელზე მოსული მრავალი სამადლოებლო გულისხმიერებისა და თანადგომისთვის, აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმისთვის.

ახლა, საგაზეთო სივრცის სიმცირის გამო, თემას თეზისებურად ჩამოვყალიბებთ აკადემიის მიერ ამ მხრივ განუღებ მუშაობას. იმედია, მომავალში ამ მუშაობას გაცილებით ფართოდ და სიღრმისეულად გაშუქების საშუალება გვექნება.

დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიამ ვერ კიდევ მაშინ დაიწყო რეგიონებში დისტანციური სწავლების განხორციელება, როცა, საბედნიეროდ, პანდემიის ხსენებაც, ან ამის ობიექტური საჭიროება თითქოს არ იყო, მაგრამ იყვნენ შშმ პირები, მათი პრობლემები, სურვილები და მისწრაფებები და სწორედ ამის გათვალისწინებით, გულთან

ახლოს მიტანით მოიწვია აკადემიამ უცხოელი ექსპერტები, საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენი წარმატებული თანამემამულეები და 7 რეგიონში დაიწყო დისტანციური სწავლება.

მთელი სამი წლის მანძილზე აჯერებდა აკადემია ცასა და დედამინას, ირწმუნებოდა დისტანციური სწავლების დანერგვის აუცილებლობაში, მაგრამ არც სახელმწიფოსგან და არც კერძო სტრუქტურებიდან თანადგომა და დახმარება არ მიუღია. მიუხედავად ამისა, უკვე მესამე წელია ახორციელებს დისტანციური სწავლების პროგრამას. დახვეწილ-დამუშავებული მეთოდით წარმატებითვე განაგრძო მუშაობა პანდემიის პირობებში და არაგისთვის დაუშვადლებია გამოცდილების გაზიარება. ამ პროგრამის საპილოტე ვერსია ხორციელდება მუნიციპალიტეტებში მემორანდუმის საფუძველზე. ეს პროგრამა სერთიფიცირებული პოგრამული ნაწილი ხდება, რაც რეგიონის ახალგაზრდობას და, მათ შორის, შშმ პირებს, საშუალებას მისცემს, არაფორმალური განათლების გზით, დისტანციურად მოისმინონ ლექციები და მასტერკლასები მსოფლიოს ნამყვანი უნივერსიტეტებიდან ცნობილი პროფესორებისა და ექსპერტების, პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების ჩართულობით. პროგრამა ამ ეტაპზე სერთიფიცირებულია და ითვალისწინებს არაფორმალური განათლების აღიარების პროგრამაში ჩართვას დისტანციური სწავლების მეთოდით.

ამ პროექტს აკადემია, სათანადო მხარდაჭერით, არასრულწლოვან პატიმრებთანაც განახორციელებს, რაც ყმაწვილებს ადგილებზე დისტანციურად არაფორმალური განათლების მიღების საშუალებას მისცემს, რაც საგრძნობლად გაუადვილებს საზოგადოებაში ადაპტირებას.

და კიდევ: დისტანციურ სწავლება გავლილ შშმ პირებს აკადემია თავისთან ასაქმებს კიდევ.

ეგებ, ვისაც ხელეწიფება, მიბაძონ დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიას. უპირველესად კი სახელმწიფო დაეხმაროს აკადემიას ამ საჭირო, კეთილშობილურ საქმეში.

კონსტანტინე გურბენიძე



საჯარო სკოლებისგან განსხვავებით, კერძო სკოლებს თავისი ძალებით უნევთ პანდემიისთან გამკლავება და ყველა რეგულაციის დაცვა, მაგრამ მაინც ახერხებენ მუშაობის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვას.

ერთი ასეთი სკოლათაგანი „ალმასია“. მისი უცვლელი დირექტორია განათლების დარგის მართლაც ღვაწლმოსილი, დამსახურებული მუშაკი, ბატონი ზურაბ ბინაძე, ვინც ცხოვრების მიზნად სამშობლოსათვის მცოდნე, ზნეკეთილი თაობების აღზრდა დაისახა.

დისტანციურმა სწავლებამ გარკვეული დისკომფორტი კი შეუქმნა სკოლას, მაგრამ დროულად მოხერხდა შექმნილ პრობლემებში ადაპტირება და მოსწავლეებს მომსახურების სრული კომპლექტი შესთავაზეს. გაითვალისწინეს კანონით მოთხოვნილი რეგულაციები, შეიძინეს სადეზინფექციო ინვენტარი და მასალები, ნამლები, პირბადეები. დამლაგებლები აღჭურვეს საჭირო ტანსაცმლითა და ინვენტარით. დაინიშნა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც დაევალა კონტროლი აღნიშნულზე (ბატონი სოლომონ ბინაძე).

პანდემიამ იმოქმედა სკოლის განვითარებაზე: წელს მხოლოდ 1 პირველი კლასი გაიხსნა 6 მოსწავლით (დამრიგებელი ნათია თედიაშვილი) 240 მოსწავლიდან - 166 დარჩა. ამის მიზეზია ის, რომ ბევრი მშო-



ბელი უმუშევარი დარჩა და ვეღარ იხიდა სწავლის საფასურს.

ვითარების შესატყვისად მუშაობენ კოლექტივთან დირექტორის მოადგილეები **ეკა ნიკურაძე** და **შორენა ხუჭუა**. სკოლას შეემანგნენ ახალი, ენერგიული და წარმატებული პედაგოგები: **ნანა სტეფანაძე** (დანეციბითი კლასები), **თამარ** და **სოფიო ჭყუასულები** (გეოგრაფია), **ლიკა მელაძე** (ფიზიკა), (რომელიც მომავალი სასწავლო წლიდან მიემგზავრება აშშ-ში, სადაც სწავლას სრული დაფინანსებით გააგრძელებს სამაგისტრო-სადოქტორო პროგრამაზე). **ირინე გენაძე** და **ნინო არჩვაძე** (ინგლისური), **ანა კაპანაძე** (ბუნება). სკოლის მასწავლებელთა დიდი ნაწილი უფროსი მასწავლებელია: **დალი ჩინჩალაძე** და **ეკატერინე კანდელაკი** (ბიოლოგია); **ეკატერინე ალთუნაშვილი**, **ანა თოლორდავა** და **ირინე გენაძე** (ინგლისური), **მანანა**



სარალიძე და **ირინა ფერაძე** (რუსული), **მაკა ბურდიაშვილი** და **ლალი მაკასარაშვილი** (ქართული), **თინათინ ბუსკვიაძე** და **ეთერ მიქაძე** (ისტორია), **ნანა სტეფანაძე** და **შორენა ხუჭუა** (დანეციბითები), **დავით მენაბდიშვილი** (სპორტი).

ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნავს ექიმი-პედიატრი **ეკატერინე კანდელაკი**. ფსიქოლოგიის სამსახურს წარმატებით ხელმძღვანელობს **თამარ რიკაძე**, ბლიოთეკას - **ნათია ლეჟავა**.

გვჯერა, კერძო სკოლა „ალმასია“ ყველა გამონვევას სათანადოდ გაუმკლავდება და, დიდი სიძნელების მიუხედავად, კვლავაც წარმატებით განაგრძობს რთულ, ფაქიზ და პასუხსაგებ საქმიანობას.

ეკატერინე გურბენიძე

ჩემი აღსაზრდელები - ჩემი სიყვარულია



დიდუბის რაიონში, წერეთლის ქუჩაზე, 91-ე ბაგა-ბაღში, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, პროფესიონალ კოლექტივთან ერთად, დიდი ენთუზიაზმით წარმართავს ბაღის დირექტორი **ნანი ჯანელიძე**, რომელსაც მკითხველი, გაზეთ „სახალხო განათლების“ ფურცლებიდან, დიდი ხანია იცნობს. ქალბატონი ნანი პროფესიით ეკოკალისტი (დამთავრებული აქვს მე-2 მუსიკალური ტექნიკუმი და ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია) და საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელისა და მედიცინის დის

დახვდათ. ზაფხულის პერიოდში ჩატარდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები შენობასა და ეზოში - გამოიცივლა 150 კვ.მ ქვაფენილი, სამზარეულოსა და ჭურჭლის სამრეცხაოებში დაიგო იატაკი, განახლდა კარადების ზედაპირები, საბავშვო უნიტაჟები, ნიჟარები. მდულარე, გამავალი წყლით, ჭურჭლის დეზინფიცირებისათვის, სამზარეულოში დაემატა დიდი უჟანგავი ნიჟარა.

ჩანთები. ბაღში ფუნქციონირებს 6 სასწავლო ჯგუფი, სადაც დაინერგა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს უნდა იძენდეს ბავშვი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში. ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესი წარმატებით ხორციელდება მზაობის ჯგუფებში,



მოადგილე **მეგი ბარბაქაძე**. ადრეული და სკოლამდელი განათლების ახალი სტანდარტების შესაბამისად ზრუნავს აღსაზრდელებზე **მულტიდისციპლინარული გუნდი** - მეთოდისტი **მაია მდივანი**, ფსიქოლოგი **ირმა მუჯირი**, ლოგოპედი **ნადეჟდა დურგლიშვილი**; სპეც. პედაგოგები - **ელისო დემეტრაშვილი** და **ანა აბულაძე**;

საოცარი კოლექტივი გვყავს, შეხმატკბილებული. ყველა ერთად ვზრუნავთ ჩვენს მომავალ თაობაზე.“



ჩატარებულ თემატურ აქტივობებს მუსიკალურად აფორმებენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები - **ელისო დემეტრაშვილი** და **ანა აბულაძე**;

თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან: საქმისმწარმოებელი **თეა ტიციე**, მწე **მადონა ბერიაშვილი**, ექთანი **იამზე სიმონიშვილი**.

სკოლამდელი აღზრდის ამ დაწესებულებაში, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, გამოიცივლა ელექტროფარების კარადა, დააყენეს ხანძარსაინააღმდეგო მანათობლები, გამოიცივლა კიბის უჯრედები და მოწესრიგდა სარდაფში ჩასასვლელი, შეკეთდა ცენტრალური გათბობის ქვები; ჯგუფებში განახლდა ინვენტარი, პატარებისთვის შეიძინეს საუკეთესო ხარისხის პლასტმასის სკამები. სუფთა და მოწესრიგებული გარემო კი ტექნიკური პერსონალის დამსახურებაა, ესენი არიან: **ეთერ თედიაშვილი**, **სათუნა მექვაბიძე**, **ნატო ივანაშვილი**, **ნატალია რეშეტოვა**, **მირანდა გურაბანიძე**, **მარიამ თედიაშვილი**, **დალი კაპანაძე**, **ლონდა ფეიქრიშვილი**, **მამუკა ხუტაშვილი**.



ეთერ თედიაშვილი, სასწავლო წელს, კვლავ მხიარული აქტივობებითა და არაერთი საინტერესო ღონისძიებით დავასრულებთ. არასოდეს შეწყვეტილყოს ბედნიერი ცეროდენების ჟივილ-ხივილიანი ნაკადი ბაგა-ბაღისკენ!

ნანი ჯანელიძე: „თითოეული ჩემი აღსაზრდელი, ჩემი სიყვარულია, ჩემი შვილი და შვილმშვილია. ისე ვზრუნავ მათზე, როგორც საკუთარზე. მათთან ერთად ვმღერო, ვიცინო, მტკივა.“



კოლექტივი აქტიურად იყო ჩართული თბილისის მერიის პროექტში, რომელიც ითვალისწინებდა, აღსაზრდელთა ოჯახების 10-12 დასახელების პროდუქტით უზრუნველყოფას. ყოველ ორ კვირაში ერთხელ ხდებოდა პროდუქტის დახარისხება და მიღებიდან 1-2 დღეში მათი გადანაწილება, რათა არ დარღვეულიყო ვარგისიანობის ვადა. ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დახმარებით, ბაღის თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან სადებიზინფექციო ხსნარებით, დეზობარიერებით, პირ-

სადაც სწავლება სკოლამდელი აღზრდის პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს: **„ვარსკვლავები“** - აღმზრდელები: **ქეთევან კოპაძე** და **თინათინ კახოშვილი**; აღმზრდელის თანაშემწე **მზია მელიქიძე**. **„ცეროდენა“** - აღმზრდელები: **ლალი წურწუშია** და **სათუნა მაჩაბერიძე**; აღმზრდელის თანაშემწე **მაია ნათუნაძე**. 2-3 წლიანთა ჯგუფი **„ლივსიტები“** - აღმზრდელი **ჟანა სტეფლიანი**, აღმზრდელის თანაშემწე **გურანდა ჩოკორაია**; 3-4 წლიანთა ჯგუფი **„ფუტკრები“** - აღმზრდელი **მარინა ციციშვილი**, აღმზრდელის თანაშემწე **ნანა კვიციანი**; 4-5 წლიანთა ჯგუფები: **„ბელურები“** - აღმზრდელები **თამუნა გულუდანი**, **თეა ფუთურიძე**, აღმზრდელის თანაშემწე **კარინა ევანი**; **„ჭიამაიები“** - აღმზრდელები **რიმა ჩხეტიანი**, **ქრისტინა როხვაძე**, აღმზრდელის თანაშემწე **დინარა ვეფხვაძე**.



ბადეებით, ერთჯერადი ხელთათმანებით, ხალათებითა და ქუდებით. ბაღის თითოეული აღსაზრდელისათვის შეძენილია ინდივიდუალური საკანცელარო

ვილი, აღმზრდელის თანაშემწე **ნანა კვიციანი**; 4-5 წლიანთა ჯგუფები: **„ბელურები“** - აღმზრდელები **თამუნა გულუდანი**, **თეა ფუთურიძე**, აღმზრდელის თანაშემწე **კარინა ევანი**; **„ჭიამაიები“** - აღმზრდელები **რიმა ჩხეტიანი**, **ქრისტინა როხვაძე**, აღმზრდელის თანაშემწე **დინარა ვეფხვაძე**.

საგანმანათლებლო პროცესის წამყვანი ბავშვია. ფიზიკური გარემო მისთვის საინტერესოდ უნდა იყოს მოწყობილი. კოლექტივის თითოეულ წევრს ეს კარგად აქვს გაცნობიერებული და ამაში საკუთარი წვლილი შეაქვს. ამ მხრივ, ქალბატონ ნანის საიმედო დასაყრდენია დირექტორის



სპეციალისტია. მოწესრიგებული ფიზიკური გარემო და მუშაობის შინაარსობრივი მხარის მაღალი დონე განსაზღვრავს ამ ბაღის მაღალ მოთხოვნადობას, პოპულარობას და ზრდის მაღლიერ აღსაზრდელთა თუ მშობელთა რიცხვს.

გლობალური პანდემიის გამო გამოკეტილი საბავშვო ბაგა-ბაღები, ცოტა ხნის წინ, კვლავ გამოაცოცხლა პატარების ჟრიალმუღმა. მართალია, სასწავლო წელი განსხვავებულ გარემოშია და დროს დაინყო, მაგრამ **თბილისის მერიისა და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს** ხელშეწყობით, აღსაზრდელებს ყველაფერი მოწესრიგებული



ნათია გურბენიძე

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თბილისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლექცია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიქერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 599 944 592;
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეზონია 591 320 705;
კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; გერმანე საზანოული 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalkoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N2 (4596)
28 აპრილი / 2021 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან
ISSN 1987-9113
9 771987 911009